საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდ-ვუტი სიფცვაა, ფცუილებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყვეოა უკარტისიბაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 5 ოქტომბერი. 2018 წ. №197 (8598) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

საბედისწეროდ ნუღარ შევცდებით!

ბესიკ ფანცულაია

კანდიდატთაგან არაერთხელ მოტყუებულო ამომრჩეველო!
იცოდე, რომ მავნე ქოსატყუილების **ვაშაძის ან ბაქრაძის** სახელმწიფოს მეთაურად არჩევით შენ ისევ ბოროტმოქმედ **სააკაშვილს** ირჩევ თავის მავნებელ ხროვასთან ერთად, **რომელთა ცხრაწლიანი ჯოჯოხეთი შენ ერთხელ უკვე მწარედ იწვნიე!**

ანაკლიის ნავსადგური – გასაღები NATO-ს კარისათვის

5

400 წლის შემდეგ „ვარძიის ტერასებზე“ რთველია

11

გლობალური ზამთარი ამერიკიდან მოვა...

განკითხვის დღის განცდა 8

უცხოელმა მიწა ან უნდა დაამუშაოს, ან გაყიდოს

4

„ოქუაშვილი ფიქრობს“:

ახალი სერიალი, ახლა უკვე ნუგზარ ფოფხაძის მონაწილეობით!

2

ჭეშმარიტად სახალხო

ძვეყნად რამდენიც თავია, იმდენი აზრია. ამიტომ ვინც რა უნდა თქვას, მე ჩემსას ვიტყვი. **ფრიდონ თოდუასთანა ჭეშმარიტად სახალხო ექიმი საქართველოს**

ყოველთა სნეულთა უებარი მლხენელი

მთელი თავისი არსებობის გრძელ მანძილზე არა ჰყოლია. ქართული სიტყვის პაპას სულხან-საბას, ცხადია, არა ამ მასშტაბის, მაგრამ უთუოდ კარგი ჯარაექიმი ჰყავდა მხედველობაში, როცა მკურნალის სნეულთა მლხენელად მოიხსენია იგი თავის უკვდავ „სიტყვის კონაში“.

უტყუარი პროფესიონალიზმის გარდა, ბატონი ფრიდონი, ალბათ, ერთადერთი ქველმოქმედი მკურნალი იყო, ერთადერთი სნეულთა მლხენელი, რომელსაც თავისი დიდი ქართული გულივით მუდამ ღია ჰქონდა თავისი მსოფლიო დონის კლინიკის კარი სუყოველი ადამიანისთვის. იმისთვის არ არსებობდა ღარიბი თუ მდიდარი ადამიანი, მაგრამ აშკარა იყო, რომ ერთი ხელი მუდამ ხელმოკლე ადამიანების შესაწევნელად ჰქონდა მომართული.

დაზღვევის, დიახაც, სახელმწიფო დაზღვევის, ჯერ ხსენებაც არ იყო, რომ ფრიდონ თოდუა უამრავ ხელმოკლე სნეულს მოევლინა მლხენელად. როცა საჭირო იყო უფასო მკურნალობა, უფასო წამალი, ფასდაუდებელი პირადი ყურადღება არ აკლდა ფრიდონ თოდუას კლინიკას, რომელიც ერთადერთი კლინიკაა საქართველოში, სამუდამოდ ფრიდონ თოდუას კლინიკად რომ დარჩება.

ეს უებარი სნეულთა მკურნალი იმითაც იყო გამორჩეული, რომ არასოდეს გამორთული არ ჰქონდა პირადი ტელეფონი, ალბათ, ეს ერთადერთი ტელეფონი იყო – 599-57-77-57, რომელიც 24 საათის განმავლობაში თვითონ ბატონი ფრიდონი გიპასუხებდათ და თავისით უებარი სამკურნალო სიტყვით სიკვდილის ბრჭყალებში მოქცეულს ისევ სიცოცხლისკენ გამოგაბრუნებდა, ხოლო დილით უკვე იმის სიცოცხლის კლინიკაში იყავი და თვითონვე გადგა თავზე როგორც სიცოცხლის ანგელოზი.

უკვე ერთი წელი გახდა, რაც ეს თითქოს ცით მოვლენილი ადამიანი ფიზიკურად ჩვენთან აღარ არის, მაგრამ ის მარადიულად დარჩა სიცოცხლის კლინიკად, სადაც სიკვდილი ყოველთვის დამარცხებული გამოვა.

თვითონ ეს სნეულთა მლხენელი დიდი ქართველი თავისი ერთი სიცოცხლით ყველა ჩვენგანში განაწილდა და მარადიულ სიცოცხლეს ეზიარა.

აკადემიკოს ფრიდონ თოდუას
უთვალავი მადლიერი პაციენტის სახელით
გურამ გოგიაშვილი

„ოქუაშვილი ფიქჩერს“:

ახალი სერიალი, ახლა უკვე ჩემი, ანუ ნუგზარ ფოფხაძის მონაწილეობით!

ჯერ უახლესი ჩანაწერები:

წუხანდელი: Bakur Svanidze, ამ სახლში გაქვთ თქვენ საიდუმლო „შტაბკვარწირა“ და მანდ იგონებთ ხოლმე სცენარებს „ოცნებისთვის“ და ლევან ყიფიანისთვის ხო? (ნატო ჩხეიძემ თქვა ეს დღეს.

Нугзар Попхадзе, **Bakur Svanidze, კიდევ ერთმა გენიოსმა ავადმყოფმა... ყიფო ჩემი ახლობელია, ქართული ლეგენდის დათო ყიფიანის შვილი. ვგულშემატკივრობ და არ მინდა ვინმე არამზადამ გათელოს. უფრო დაწვრილებით მერე მოგწერ.**

ახლა, ამ დილანდელი: ვახო ხუზმიაშვილი:

მეზობლები ადასტურებენ რომ ლევანა ყიფიანი ნუგზარ ფოფხაძესთან დაიარებოდა ეს დღეები, დანარჩენი 2 საათზე ახალ ამბებში,ისე ლევან ყიფიანი „იბერიას“ ჩაბარებას ფოფხაძისთვის ითხოვდა.

ჩემო მეგობრებო, ერთი სიტყვით, იძულებული ვარ, გაცნობოთ: ხათაბალა არ მშორდება!

ტრადიციულად , ეგზალტირებული ქალბატონები...

ტრადიციულად – ჭორიკანა „ჟურნალისტები“ და მათი უვიცი დამკვალიანებლები...

ბოდვა... ბოდვა... ბოდვა!!!

ხან სუს-ის „კონსულტანტი“ ვარ და ხან ივანიშვილის კარის „ბანდის“...

ჩემი „ბებრული ფანტაზიებით ვმართავ“ ქოცების და ხელისუფლების „პიარს“; დაღუპვისკენ მივაქანებ მათ (არადა, თუ ასეა, უნდა უხაროდეთ ამ იდიოტებს);

პასტერის ქუჩაზე, ჩემთან, თურმე, დადის მთელი მთავრობა, მთელი სუს-ი... თანაც ასახელებენ გვარებს, რომლებსაც მთელი ცხოვრების მანძილზე ერთხელაც(!) არამცთუ, შევხვედრივარ, არამცთუ მისაუბრია, ვერცერთს ვერ ვიცნობ ქუჩაში ან სადმე საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე რომ შევხვდე...

ერთადერთი შემთხვევა იყო, რომ კლასიკოსის (კლასიკოსების შვილებში კი მართლაც ბედი მაქვს) თხოვნით შევხვდი მის შვილს, რომელმაც მაღალჩინოსანი სტუმარი მომიყვანა, შვილმა ჩვენი საუბარი მალულად ჩაიწერა და ატყდა, მაგრამ რა ატყდა... ამის მერე, რა თქმა უნდა, ჭკუა ვისწავლე: ყველა მოსულ უცხოს თუ ნაცნობს ვაფრთხილებ, რომ „ფარული ჩაწერა“ მავნეა ჯანმრთელობისთვის...

ნუ, აღარაფერს ვამბობ ეთიოპიის, მოსადის და „ცე-რე-უს“ აგენტობაზე, მით უმეტეს, „გრუ“-ს ბებერ გენერლობაზე“ და რუსეთის რეზიდენტობაზე... ეს ერთობ ძველია და ამ უმადურებმა აგენტთა პირველი სამეულიდან 87-ე ადგილზე გადამაბრძანეს... ასეა, დრონი მეფობენ და არა მეფენიო...

ახალი ინტონაციებიც გაჩნდა გუშინდელი საღამოდან, მას შემდეგ, რაც „საუკუნის მორიგი სკანდალის“ ერთ-ერთი ფიგურანტი ლევან ყიფიანი სასამართლოზე დაკითხვის შემდეგ ჟურნალისტების წინაშე წარდგა და... გასამმაგებული ძალით ჩაირთო „დეზერტირების ბაზრის ახალი ამბების სააგენტო“:

აქამდე დღეგრძელი დიდი რეზო გაბრიაძე, განსვენებული და ყველასგან გამორჩეული სულიკო ჟღენტი და, ასევე, ზეციურ საქართველოში აბრძანებული დიდებული მწერალი რეზო ჭეიშვილი ითვლებოდნენ დიდ სცენარისტებად. ახლა, ამათ გვერდით გამორჩეულ „სცენარისტად“ მეც მასახელებენ ეს ნამეტნავად წიგნიერი და ოჯახში გაზრდილი „ტიპები“ (მათ შორის, ერთ-ერთი ისევ კლასიკოსის(!!!) ოჯახიდანაა).

ამ დოქსოპულოებს რომ დედა არ ჰყავთ, ეს ჩანს მათ მეტისმეტად კულტურულ მოქმედებაში, მაგრამ პროფესიული ეთიკის ნორმები მაინც ვერ ისწავლეს იმ დიპლომების გამცემ სასწავლებლებში? კაცს რომ დილით ადგომა უნდა აცალო, სახლში გადამღები ჯგუფი ყოველგვარი წინასწარი შეთანხმების გარეშე, გაუფრთხილებლად თავზე არ უნდა დააყენო და ააწიოკო, ეს ჩემმა 9 წლის შვილიშვილმაც კი იცის, არამცთუ მეორე თუ მესამე „მთავარი“ ტელევიზიის შეფმა..

მეზობლებზე აპელირება რაში გჭირდებათ თქვე ნამეტნავად „ინფორმირებულებო“ იმის თაობაზე, რომ ბოლო დღეებში, თურმე ლევან ყიფიანი რამდენჯერმე მსტუმრობდა... „რამდენჯერმე“ კი არა, 47 წელი, მას შემდეგ, რაც ფეხი აიდგა, თუ ყოველდღე არა, კვირაში ერთხელ მაინც არის ნამყოფი თავისი დეიდის, ბიძის, ბიძაშვილების, მამამისის უახლოესი მეგობრის და ქვისლის სახლში. ერთ „საიდუმლოსაც“ გაგიმხელთ: როცა ცოლი მოჰყავდა, მამამისი ვერ ახერხებდა საზღვარგარეთიდან ჩამოსვლას და მის მაგივრობას ვეწეოდი. და ჩვენი ოჯახების ახლობლობა ნახევარმა თბილისმა იცის და, ეტყობა, გორამდე ამ ამბავს არ ჩამოუღწევია.

და მერე რა, რომ ჩვენთან დადიოდა?აბა სად უნდა წასულიყო იმ უზნეო ხათაბალაში მყოფი, რომელშიაც აღმოჩნდა გასაოცარი გულუბრყვილობით თუ მავანის კიდევ უფრო გასაოცარი და ამაზრზენი „ვირეშმაკობით“. საზღაურიც მიიღო, ამოიგანგლა სიბინძურეში, ტალახით მოსვარა გვარი, ლეგენდა მამის სახელი, ეჭვქვეშ დააყენა ოჯახის რეპუტაცია. კეისარს კეისრისა!

და ვიღაც უზნეოს, კრეტინს და იდიოტს უკვირს, რომ ასეთ მდგომარეობაში მყოფი კაცი, მივიდა იმ ოჯახში, სადაც მას თბილად, გულშემატკივრულად მიიღებდნენ ისეთს, როგორიც არის და არა ისეთს, როგორსაც ხატავენ დეპუტატი ცოლ-ქმარი და მათი... დანარჩენს ადრესატები თავად მიხვდებიან.

მაშინებენ რაღაც ტელეგადაცემით, კადრებით, მართლა ეს უზნეონი! მნახეს რა ეს 76 წლის კაცი წერა-კითხვის და ჟურნალისტიკის ანა-ბანის უცოდინარი!..

ეს ცხელ გულზე დაწერილი რეპლიკაა. სერიოზული პასუხისთვისაც მოვიცლი. „ვაღიარებ“: არა ვარ მთლად გაუთვითცნობიერებელი, თუნდაც, ამ პრობლემაში. დეტალებიც საკმაოდ ვიცი, წვრილმანებიც. სხვათაშორის, ზოგი რამ საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი, თუნდაც, დღევანდელი ერთ-ერთი გმირის – პროკურატურასთან „შეკრული“ ბიზნესმენის თუ დეპუტატის „კაი-კაცობა“. იმ პროკურატურასა და მის „მფარველ-კურატორს“ სამი წელია, კვირაში ერთხელ მაგრად ვეფერები, კონკრეტული გვარების, მათ შორის, იმ „ბოტასების ქურდის“ ფარცხალაძის დასახელებით. ეს მაშინ, როცა ფარცხალაძესთან „ომეგას“ თავკაცს „საქმიანი“ და „ანგარიშიანი“ ურთიერთობა ჰქონდა.

აბა, დამისახელოს „ხალხის რჩეულმა დეპუტატმა ცოლ-ქმარმა“ ერთი ფაქტი, ერთი გადაცემა, რომელშიაც „სიყვარულით“ ახსენებთ მაგ ფარცხალაძეს? ერთი, მხოლოდ ერთი ფაქტი!

„ოქუაშვილი ფიქჩერს“ კომპანიამ მიხედოს თავის ჩაბინძურებულ საქმეს. ჩემს პატივცემულ კოლეგა-ჟურნალისტებსაც მოვუწოდებ სიბრძნისკენ და შევახსენებ პროფესიული ეთიკის მოთხოვნებს. იმასაც, რომ მე დიდი ხანია, არ ვარ საჯარო პირი და, აქედან გამომდინარე, ყველა უფლება-მოვალეობით და პერსპექტივით.

მეგობრული რჩევა მავანს: დამშვიდდით! ლევან ყიფიანი გამოდის ფსიქოლოგიური სტრესიდან. ის, რაც მოხდა, რაც ხდება და რაც მოხდება (ყოვლისმცოდნე დეპუტატმა ქალბატონმა ხომ უკვე დააანონსა და დაგეგმა მოვლენათა მომავალი განვითარება) არის კონკრეტული არცთუ ახალგაზრდა კაცის არჩევანი, მისი, ვიმეორებ გონებაშეზღუდულთათვის, მისი პირადი პასუხისმგებლობა საკუთარ და ოჯახის ბედ-იღბალზე.

ამას გინდა, სცენარი დაარქვით და გინდა, სხვა ჟანრის პროდუქცია (მდიდარი არჩევანი გაქვთ).

რაც შემეხება პირადად მე: სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ არავითარი(!!!) კავშირი, არც პირდაპირი და არც ირიბი, თქვენ რომ უწოდებთ ამ ე.წ. სცენართან და თქვენს სიბინძურესთან, არა მქონია, არა მაქვს და არც მექნება. და, თუ გულწრფელი ვიქნები ბოლომდე, არც გისურვებთ რომ მქონდეს. მართლა!!! ქალბატონ ხალხის რჩეულ დეპუტატს კი შეუსწავლია ჩემი ბიოგრაფია, მაგრამ, ეტყობა მთლად ბოლომდე და ღრმად ვერა... თორემ რაღაცები არ მოელანდებოდა, არ შეუერთდებოდა ცნობილ სულით გახრწნილ ტიპაჟს. სამწუხაროა, მართლა დიდ პატივს ვცემ კარგი მწერალი მამის ოჯახს, მის უნიკალური ნიჭიერებით გამორჩეულ ძმას.

დანარჩენი, უფრო კონკრეტულად და ვრცლად სხვა დროს. ახლა კი, კარგად იყავით და ატრიალეთ ჩემთან დაკავშირებული პარტიზანული და დამონტაჟებული ვიდეოჩანაწერები, დაეშანტაჟეთ მორიგი მსხვერპლი, როგორც ამ ბოლო დროს გაირკვა, ამის უმდიდრესი გამოცდილება „ოქუაშვილ ფიქჩერსს“ აქვს. მაგრამ... მაინც ვერ აჯობებთ „ჩემი ცოლის დაქალებს“.



ნუგზარ ფოფხაძე

სამხედრო მაღალჩინოსნებს ტყვია-წამლით უკანონოდ ვაჭრობაში ედებათ ბრალი

საქართველოს **თავდაცვის სამინისტროში ადასტურებენ ინფორმაციას, რომ დაკავებულია 3 სამხედრო. ირკვევა, რომ დაკავება აგვისტოში განხორციელდა, თუმცა ფაქტი არ გახმაურებულა. აღნიშნული თავდაცვის სამინისტროში გამოძიების ინტერესებით განმარტეს.**

რაც შეეხება დაკავების საფუძვლებს, აღნიშნულის მიზეზი საქართველოს შეიარაღებული ძალების კუთვნილი ტყვია–წამლის უკანონოდ გაყიდვა გახდა.

არაოფიციალური ინფორმაციით, თავდაცვის სამინისტროდან ტყვია-წამლის უკანონო გზით გადინება და ვაჭრობა ერთი წლის განმავლობაში ხორციელდებოდა.

– საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებებით დადგინდა, რომ ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის, შეიარაღებისა და ტექნიკის სარემონტო ბაზის, შენახვის განყოფილების საბრძოლო მასალის შენახვის სპეციალისტი გ. გ. დანაშაულებრივ კავშირში იმყოფებოდა ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის საავტომობილო ბაზის საშტაბო ასეულის მეთაურის მოადგილე ზ. მ.-სთან, რომლებიც შეიარაღებისა და ტექნიკის სარემონტო ბაზიდან მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებულ საბრძოლო მასალას კონკრეტულად (საბრძოლო ვაზნებს), მოქალაქე ს. ბ.-ს. დახმარებით ახდენდნენ რეალიზაციას, – აცხადებენ თავდაცვის სამინისტროში.

სამხედროების დაკავების ოპერაცია თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულმა სამხედრო პოლიციამ განახორციელა.

– საქმეზე ჩატარებული საგამოძებო მოქმედებების შედეგად ბრალდებულების ბინიდან, დამხმარე სათავსოდან და ავტომანქანიდან ამოღებულია დიდი რაოდენობით საბრძოლო ვაზნები.

ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული აქვთ პატიმრობა. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში მათ თავისუფლების 9-13 წლამდე ვადით აღკვეთა ემუქრებათ.

– გვინდა, განვაცხადოთ, რომ შეიარაღებულ ძალებში მომხდარ ნებისმიერ დანაშაულებრივ ფაქტზე ჩვენ მიერ მოხდება მყისიერი, კანონშესაბამისი რეაგირება, დანაშაულის ჩამდენი პირები კი კანონის სრული სიმკაცრით დაისჯებიან, – განაცხადა სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის გამოძიების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილემ ირაკლი ბაზერაშვილმა.

ᲒᲘᲐ ᲯᲝᲮᲗᲐᲑᲔᲠᲘᲫᲘᲡ

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲘᲓᲘ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ“, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ 2 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲕᲘᲖᲘᲢᲝ ᲑᲐᲠᲐᲗᲘᲐᲓ ᲘᲥᲪᲐ

ᲩᲕᲔᲜᲘ ქვეყანა იბერია — ივერია, მთელი ისტორიის მანძილზე იდგა პიროვნებებზე, მათ პოლიტიკურ შორსმჭვრეტელობაზე, მათ შემოქმედებით უნარზე, მათ კულტურაზე და, ყოველივესთან ერთად, ეროვნულ სიამაყეზე. ასეთი პიროვნებები გვყავდნენ ყველა ეპოქაში, ყველა საუკუნეში, ამიტომაც ვარსებობთ, გვქონდა და გვაქვს, მართალია ხან ფორმალურად, ხან არაფორმალურად, მაგრამ მაინც სახელმწიფო. ამასთან ერთად ვარსებობთ როგორც ერი, თუმცა მუდმივად მეზობლებისა და არამეზობლების გამანადგურებელი წნეხის ქვეშ მყოფნი, მაგრამ მაინც ვინაჩრუნებთ ევროპული კულტურის ფესვს. კულტურას, რომლის საძირკვლის თანამშენებლები ვართ იბერ-ივერნი.

ამ ფესვზე აღმოცენებულია ჩვენი კულტურა. ისტორიული კოლიზიების მიუხედავად ქართულმა კულტურამ შეინარჩუნა თავისთავადობა, თუმცა გაუჩნდა ორიენტირებული შეფერილობა, რომელმაც გარკვეული ხიბლიც შესძინა მას. ასეთი კულტურის პროდუქტი ვართ დღევანდელი ქართველები. თავისთავადობის შენარჩუნება და მეტიც, კულტურის ამავე გზაზე განვითარება, არის გამოჩრეული პიროვნებების გარჯის შედეგი. **საამაყოა, რომ დღესაც გვყვანან ისეთი მამულიშვილები, რომელნიც თავის ყოველგვარ შესაძლებლობებს უანგაროდ ქვეყნის კულტურულ კეთილდღეობას ახმარენ. ასეთია ბატონი გია ჯოხთაბერიძე და ქალბატონი მანანა შევარდნაძე, რომლებმაც საკუთარი ნიჭითა და უნარით შექმნილი ყოველგვარი რესურსი გაიღეს ეროვნული კულტურის უმნიშვნელოვანესი განძის — ეროვნულ ფესვზე აღმოცენებულის, ევროპული ხედვით, მაღალი ნიჭიერებით შექმნილი თანამედროვე ქართული მხატვრობის საქვეყნოდ წარმოსაჩენად, რისთვისაც ააშენეს სამუზეუმო შენობაც.**

ბატონი **ᲒᲘᲐ ᲯᲝᲮᲗᲐᲑᲔᲠᲘᲫᲘᲡᲐ** და ქალბატონ **ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲘᲡ** მუზეუმში გამოფენილი და საცავებში გამოსაფენად გამზადებული ქართული მხატვრობა თვალნათლივი სურათხატია ქართული კულტურის რაობისა, მისი სიმძლავრის ხარისხის, სამყაროს აღქმისა და მხატვრულად ასახვისა. ეს ხომ ძალზე მნიშვნელოვანი „ქართული საქმეა“.

აფერუმ თქვენ, ბატონო გია და ქალბატონო მანანა! ამ მუზეუმით თქვენ შექმენით ეროვნული დღესასწაული, რომელიც თანამდევი იქნება საქართველოსი, ვიდრე სამყარო და მასთან ერთად საქართველო იარსებებს.

ამასთან ერთად, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ დღესასწაული, რომელიც დაიბადა მუზეუმთან ერთად, შესანიშნავად შეამკო დახვეწილი გემოვნებით, შინაარსობრივად გამართულმა კულტურულ-გაცნობითმა საკონცერტო პროგრამებმა. პირველივე საღამოს თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში ჩატარებულმა ქართული ეთნოკულტურის საგუნდო და ქორეოგრაფიული ხელოვნების მასშტაბურმა კონცერტმა, რომელმაც გაიბრწყინა სადღესასწაულო ფეიერვერკივით. მეორე საღამოს კი რესპუბლიკის სასახლის პარადულ დარბაზებში და შიდა ეზოს სივრცეში, სადაც მოპატიჟებულები იყვნენ უცხოელი სტუმრები, ჟღერდა თანამედროვე პოპ-მუსიკა, ჯაზი, ქართული საესტრადო მუსიკა და თეატრალური მუსიკალური კომპოზიციები, ხოლო მესამე საღამოს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში ქართველი ოპერისა და ბალეტის ვარსკვლავების შესრულებით ჩატარდა აკადემიური კონცერტი-წარმოდგენა.

სამივე დღეს ყოველივეს მნახველი და მსმენელი ყველა ჩვენი თანამოქალაქე ვიყავით ამაყნი, ხოლო სტუმრები გაოცებულები იმ აღმოჩენით, რომელიც დახვდათ საქართველოში.



აფერუმ თქვენ, ბატონო გია და ქალბატონო მანანა!

ᲒᲘᲒᲐ ᲑᲐᲗᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
02.10.2018 წ.

ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲛᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲐᲓ ᲓᲐᲧᲝ

რუსული გამოცემის, „Независимая газета – Религия“-ს მიერ გამოქვეყნებულ **სტატიაში განხილულია საქართველოში მიმდინარე საპრეზიდენტო წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობა, მასში ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის როლი. ყურადღება გამახვილებულია სამღვდელოების ცალკეული წარმომადგენლების დამოკიდებულებაზე პრეზიდენტობის კანდიდატების მიმართ.**

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ **არტურ პრიმაკის** ავტორობით გამოქვეყნებული მასალის ქართულენოვან რეზიუმეს:

პუბლიკაციაში საუბარია პრეზიდენტობის კანდიდატის სალომე ზურაბიშვილისა და ჭყონდიდის მიტროპოლიტ პეტრე ცაავას შორის მომხდარ კონფლიქტზე. როგორც ცნობილია, მიტროპოლიტმა ეჭვი შეიტანა სალომე ზურაბიშვილის პატრიოტობაში და საქართველოს საგარეო საქმეთა ექს-მინისტრი არასასიამოვნო ეპითეტებით შეამკო, ფაქტობრივად — დასცინა. თავის მხრივ, სალომე ზურაბიშვილმა თავის გამოსვლებში ხაზი გაუსვა, რომ ქართული ეკლესიის წარმომადგენლები კონკორდატის პრინციპებს არღვევენო.

— სხვათა შორის, ჭყონდიდის მიტროპოლიტი პეტრე ცაავა იმითაც გამოირჩევა, რომ იგი მხარს უჭერს უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიას, ანუ მის გამოსვლას მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებისაგან, — აღნიშნავს სტატიის ავტორი.

მიტროპოლიტის შეგნებული მოქმედება სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ იმას ნიშნავს, რომ პეტრე ცაავა ფაქტობრივად პრეზიდენტობის კანდიდატის — „ნაციონალთა“ წარმომადგენლის გრიგოლ ვაშაძის სასარგებლოდ მუშაობს. როგორც „Независимая газета“-ს ქართველმა საზოგადო მოღვაწემ **ნანა კაკაბაძემ** განუმარტა, „კონკორდატის პრინციპები მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროსაც ხშირად ირღვეოდა, თუმცა სალომე ზურაბიშვილი პრეზიდენტი რომც გახდეს, იგი კონკორდატს მაინც ვერ შეცვლის, უფლებამოსილება შეზღუდული ექნება“.

— ქართულ ეკლესიაში რამდენიმე გავლენიანი დაჯგუფება არსებობს, რომლებიც ქვეყნის სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებზე არიან ორინტირებულნი, — ამბობს მოძრაობა „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი **კახა კუკავა** სტატიის ავტორთან საუბარში. მისი თქმით, „ნაციონალურ მოძრაობას“ ეკლესიაში ძლიერი ლობი ჰყავს, რამდენიმე ეპისკოპოსის და მიტროპოლიტის სახით. „პეტრე ცაავას გამოსვლა სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ და შესაბამისად, გრიგოლ ვაშაძის სასარგებლოდ, საქართველოში არავისთვის სიურპრიზი არაა. ყველასთვის ცნობილია, რომ ეკლესიაში თავისი მომხრეები ჰყავს „ქართულ ოცნებასაც“. **კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ რელიგიის მსახურებს პოლიტიკური განცხადებებით გამოსვლა აუკრძალა, მაგრამ ცნობილია — როცა ერთი იწყებს, მას სხვებიც აჰყვებიან. შექმნილი სიტუაცია განპირობებულია საქართველოს ეკლესიის წარსულით, როცა ის მხარს უჭერდა პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს: სამღვდელოება მიჩვეული იყო საბჭოთა პარადიგმებით ცხოვრებას და დღეს, როცა ეკლესია სახელმწიფოსაგან ჩამოშორებულია, მათ თავისუფალი მოქმედება უჭირთ,** — ნათქვამია სტატიაში.

ჯანდაცვის გაძვირება მთავრობის უუნარობისა და კორუფციული გარიგებების ბრალია?!

ფონდ „კურაციოს“ მიერ ცოტა ხნის წინათ გამოქვეყნებულმა კვლევამ აჩვენა, რომ 2022 წლამდე წამლებზე დანახარჯი წელიწადში საშუალოდ 7,5%-ით შეიძლება გაიზრდოს. ამავე კვლევაში, რომელიც 2018 წლის ივნის-ივლისს მოიცავს, ნაჩვენებია, რომ ჯანდაცვის მთლიან დანახარჯში 36% მედიკამენტებს უკავია. ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. წამლების საფასურის 97%-ს მოქალაქეები საკუთარი ჯიბიდან იხდიან, ხოლო სახელმწიფოს წილი სულ 1%-ია. ხარჯის უდიდესი წილი 70% ქრონიკულ მედიკამენტებზე მოდის, რაც ადამიანებისთვის მუდმივ ხარჯს წარმოადგენს. ბაზრის 75% 3-4 ფარმაცევტულ კომპანიას უკავია, რაც ბაზარზე კონკურენციას ზღუდავს და მათ შორის ფასებზე შეთანხმების ალბათობას ზრდის.

ჯანდაცვის ხარჯების ზრდის მიზეზებთან დაკავშირებით „კომერსანტი“ ჯანდაცვის სფეროს მკვლევარს **სერგო ჩიხლაძეს** ესაუბრა.

ბოლო კვლევები აჩვენებს, რომ ადამიანები ჯანდაცვაზე სულ უფრო მეტს ხარჯავენ ჯიბიდან და მათ შორის წამლებზე დანახარჯები განსაკუთრებით დიდი ტვირთია. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო მეტს ხარჯავს და მშპ-ს უფრო დიდი ნაწილი მიემართება ჯანდაცვაზე, გაიზარდა იმ ოჯახების რიცხვი, რომელთაც კატასტრფული დანახარჯები აქვთ ჯანდაცვაზე.

როგორ პასუხობს სახელმწიფო ამ გამოწვევებს? სახელმწიფომ დაიწყო იაფი წამლების პროგრამა, მაგრამ ის არასათანადოდ განხორციელდა. წამლების პროგრამა, რომელიც 2017 წელს 6 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა და 150 ათასი კაცის ნაცვლად, მოიცვა 13 ათასი კაცი, 10%-იანი შედეგიც კი ვერ აჩვენა. ამასთან, ამ 10%-იან სარგებელზე გათვალისწინებულზე უფრო მეტი საბიუჯეტო დანახარჯები ჰქონდა.

ჯანდაცვის ხარჯების და მათ შორის წამლების წილის ზრდას აჩვენებს UNICEF-ისა და მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებული კვლევებიც. UNICEF-ის 2017 წლის გამოკვლევის თანახმად, 2012 წლიდან მედიკამენტებზე ფასები მუდმივად იზრდება და ჯანდაცვის ხარჯების ძირითადი წილი (69%) სწორედ წამლებზე მოდის. მსოფლიო ბანკის ბოლო კვლევამაც აჩვენა, რომ მოსახლეობის უღარიბესი ადამიანების 20%-თვის მთლიან ხარჯებში ყველაზე დიდი წილი მედიკამენტებს უკავია. ჯანდაცვის ფასების ზრდას ოფიციალური სტატისტიკაც ადასტურებს.

— რა იწვევს ფასების ზრდას ჯანდაცვაზე — იმპორტის გაძვირება, ინფლაცია თუ კიდევ სხვა მიზეზებიც არსებობს?

— ფასების მატება განპირობებულია ოლიგოპოლიური ბაზრით და ასევე იმით, რომ სახელმწიფოს არ გააჩნია სარეგულაციო მექანიზმი, როგორც არის ნებისმიერ ქვეყანაში. ამის მიზეზი არის კორუფციული გარიგებები, უუნარობა, ცოდნისა და კომპეტენციის არარსებობა.

სამედიცინო ხარჯების ზრდას ისიც განაპირობებს, რომ საყოველთაო ჯანდაცვის, სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამების ხარჯები ვერ კონტროლდება, ეს იმის გამო, რომ სისტემა არ არის აწყობილი. ქვეყანაში არ არსებობს პირველადი ჯანდაცვა, ამიტომ ადამიანები ჰოსპიტალს უკვე შორს წასულ შემთხვევებში მიმართავენ და შესაბამისად, ძვირადღირებული სერვისების გამოყენება უწევთ. ასე თუ გაგრძელდება, სამედიცინო ხარჯები ყოველთვის მოიმატებს. არ ტარდება პრევენციული ღონისძიებები, რაც პირველადი ჯანდაცვის ნაწილია. მაგალითად, სიმსივნური დაავადებები ყოველთვის არის გვიან სტადიებზე აღმოჩენილი, რასაც ხანგრძლივი მკურნალობა სჭირდება და შედეგიც სავალალო დგება. პროგრამებში წამლების კომპონენტი არ არის გათვალისწინებული და შესაბამისად მოწესრიგებული.

სამედიცინო ბაზარზე სუსტია კონკურენცია. ფარმაცევტული ბაზარი რამდენიმე ფარმაცევტულ კომპანიას აქვს გადანაწილებული. არის ვერტიკალური მონოპოლიები, როცა სადაზღვევო კომპანიები, კლინიკები, აფთიაქები, საცალო თუ საბითუმო ქსელი, რომელსაც ბანკი უდგას სათავეში, ეკუთვნის ერთ რომელიმე კომპანიას. ასეთი კონგლომერატების არსებობა გამორიცხავს კონკურენციას და ფასების შემცირებას. ასეთი მსხვილი ოლიგოპოლიები იქით კარნახობენ სახელმწიფოს თამაშის წესებს. ამას ემატება ინფლაცია, კურსის დევალვაცია და არაჯანსაღი მდგომარეობა ჯანდაცვის სამინისტროში, რომელსაც ჰყავს უუნარო მენეჯმენტი და ხდება კორუფციულიი გარიგებები. ეს ყველაფერი ერთად განაპირობებს იმას, რომ ჯანდაცვის ხარჯები ვერ ან არ კონტროლდება. ბოლო მოვლენებმაც აჩვენა, რომ ხდება ძალიან სერიოზული კორუფციული გარიგებები, რომელიც კიდევ უფრო დიდ გამოძიებას ითხოვს. ტენდერები, მომსახურების შესყიდვები, წამლების საცალო ვაჭრობა და სხვა მიმართულებები უფრო ღრმა ანალიზსა და გამოძიებას საჭიროებს.

ნონა ქვლივიძე

უცხოელმა მიწა ან უნდა დაამუშაოს, ან გაყიდოს

თუ უცხოელი მიწას არ დაამუშავებს, მაშინ იძულებული იქნება გაყიდოს იგი. შესაბამის ცვლილებას სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესახებ კანონის პროექტი ითვალისწინებს, რომელიც პარლამენტარმა ოთარ დანელიამ მოამზადა. გარდა ამისა, მიწაზე შეზღუდვები საკუთრებაში არსებულ ნაკვეთებზეც გავრცელდება.

კანონპროექტის მიხედვით, უცხოეთის მოქალაქე, შეესაძლოა, საქართველოში ფლობდეს მიწას, თუ მიწა მიიღო მემკვიდრეობით ან სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე წარმოეშვა მართლზომიერი მფლობელობის უფლება. ამისათვის უცხოეთის მოქალაქეს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება დასჭირდება, რისთვისაც მთავრობას საინვესტიციო გეგმას წარუდგენს. თუ გეგმით გათვალისწინებული პირობები არ შესრულდება, უცხოეთის მოქალაქე ვალდებულია, ერთი წლის ვადაში გაასხვისოს მიწის ნაკვეთი.

ამასთან, უცხოელს, რომელსაც გააჩნია მუდმივი ცხოვრების ან საინვესტიციო ბინადრობის ნებართვა, ვალდებულია 2 წლის ვადაში გაასხვისოს მიწა (გარდა საკარმიდამო მიწის ნაკვეთისა), თუ მას არ დაამუშავებს.

თუ ვალდებული პირი ვერ უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გასხვისებას, მან ვადის გასვლიდან ერთ თვეში უნდა მიმართოს საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოს საკუთრებაში გადასვლის მიზნით.

მიწის ფლობასთან დაკავშირებული შეზღუდვები საკუთრებაში არსებულ ნაკვეთებზეც გავრცელდება. კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შემდეგ დადგინდა, რომ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მფლობელი მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები ან სახელმწიფო უნდა იყვნენ.

არსებული ინფორმაციით, კანონპროექტი, რომელმაც შესაბამისი საკონსტიტუციო ჩანაწერის შემდეგ, გამონაკლისები უნდა დაადგინოს, უკვე მომზადებულია, თუმცა მისი წარდგენა პარლამენტში ჯერ არ მომხდარა. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესახებ კანონპროექტი ითვალისწინებს შეზღუდვებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის იპოთეკით დატვირთვის შემთხვევისათვის.

პროექტის მიხედვით, დაუშვებელია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენება უცხოელის ან საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირის სასარგებლოდ. ასევე იკრძალება იურიდიული პირის მიერ წილის იმ ოდენობით გაყიდვა, რომლის შედეგადაც წილის 50%-ზე მეტი, შესაძლოა, გახდეს უცხოელი ან უცხოური საწარმო.

კანონპროექტის მიხედვით, თუ იურიდიული პირის საკუთრებაშია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, დაუშვებელია: — წილის — აქციის — პაის იმ ოდენობით გასხვისება ან პარტნიორთა იმგვარად შეცვლა, რის შედეგად დომინანტი პარტნიორი გახდება უცხოელი; — აქციებში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდების იმ რაოდენობით საჯარო შეთავაზება, რომლის შედეგად შესაძლოა, იურიდიული პირის აქციათა კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდების 50%-ზე მეტის მესაკუთრე (მფლობელი) გახდეს უცხოელი; — წილის — აქციების — პაის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენება უცხოელის ან საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირის სასარგებლოდ იმ ოდენობით, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად, გირაოს საგნის მოგირავნის საკუთრებაში გადასვლის შემთხვევაში დომინანტი პარტნიორი გახდება უცხოელი.

სპეციალისტები ამბობენ, რომ კანონი სასწრაფოდ მისაღებია, რადგან სხვადასხვა გზებით უცხო ქვეყნის მოქალაქეები კვლავ აგრძელებენ მიწების შეძენას. ექსპერტი უძრავი ქონების საკითხებში, ეკონომიკის დოქტორი **ანზორ მესხიშვილი** იმ მეთოდებს ასახელებს, რომლებსაც უცხო ქვეყნის მოქალაქეები საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწის დასაპატრონებლად იყენებენ, სანამ ხელისუფლება კანონის მიღებას აჭიანურებს.

„პროექტის განხილვა სექტემბრის ბოლოსთვის უნდა დასრულებულიყო, თუმცა კანონი ჯერაც არ მიუღიათ. ამასობაში უცხოელები პოულობენ გზებს, თუ როგორ უნდა შეიძინონ მიწა საქართველოში. მაგალითად, სამეურნეო დანიშნულების მიწა სხვადასხვა გზით გადაჰყავთ არასასოფლო-სამეურნეო მიწის კატეგორიაში და შემდეგ ყიდულობენ. ასევე, ყველაზე გავრცელებული და აპრობირებულია ქართველ ქალთან ფიქტიური ქორწინება და მიწის ამ გზით შესყიდვა. ახალი კანონპროექტი მნიშვნელოვანი და, საბოლოო ჯამში, საკმაოდ კარგია. რატომ არ იღებენ და რას ელოდებიან, არ მესმის. ერთ კვირაში შექმნეს სააგენტო და მოამზადეს კანაფთან დაკავშირებული კანონპროექტი. მოსახლეობის წინააღმდეგობა რომ არა, დაამტკიცებდნენ კიდეც და საქართველოს მიწაზე კანონი, შეიძლება ითქვას, არც გახსენებიათ“, — ამბობს მესხიშვილი.

ბექა დანელია

1500 მძღოლზე გადაზიდვის ნებართვა გაიცა

ბათუმში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტომ ტრაილერების მძღოლებისთვის თურქეთში გადაზიდვებისთვის საჭირო ნებართვების გაცემა დაიწყო. თურქულ მხარესთან მიღწეული შეთანხმებით, პირველ ეტაპზე გაიცემა 1 500 ნებართვა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, თურქული მხარე მზადყოფნას გამოთქვამს, ქართულ მხარეს გადასცეს დამატებითი ნებართვები. მომსახურების ოფისები ადგილზე ნებართვების გასაცემად შაბათ-კვირასაც იმუშავებენ.

„ჩვენ შევასრულეთ ტრაილერების მძღოლებისთვის მიცემული პირობა, მივაღწიეთ თურქულ მხარესთან შეთანხმებას და დავიწყეთ გადაზიდვებისთვის საჭირო ნებართვების გაცემა. პროცესი მიდის მშვიდად, ვიმუშავებთ შაბათ-კვირასაც იმისთვის, რომ რაც შეიძლება მალე მიეცეთ თურქეთის მიმართულებით გადაზიდვებზე მომუშავე მძღოლებს სამუშაოს გაგრძელების შესაძლებლობა“, — განაცხადა ეკონომიკის სამინისტროს სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს ხელმძღვანელმა მიხეილ ხმალაძემ.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინათ ტრაილერების მძღოლებმა, რომლებიც თურქეთში ტვირთის გადაზიდვაზე მუშაობენ, ბათუმში საპროტესტო აქცია გამართეს. აქციის მონაწილეების თქმით, მათი პროტესტი უკავშირდებოდა იმას, რომ ორ თვეზე მეტი დროის განმავლობაში თურქული მხარე თურქეთში ცარიელი შესვლისთვის საჭირო სპეცნებართვას არ გასცემდა.

ანაკლიის ნავსადგური
გასაღები NATO-ს კარისათვის

ევროპაში ამერიკის არმიის ყოფილი მთავარსარდალი, გენერალ-ლეიტენანტი ბენ ჰოჯესი:

„NATO-მ დაადასტურა თავისი რეპუტაცია, როგორც ყველაზე წარმატებულმა ალიანსმა ისტორიაში, როგორც სტრუქტურამ, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხოებას, არის კოლექტიური თავდაცვის ორგანიზაცია და არსებობს მიზეზები, რომელთა გამოც ქვეყნები ამ ალიანსში გაწევრიანებისკენ ისწრაფვიან. ავიღოთ, მაგალითად, ჩერნოგორია: მას ადრიატიკის ზღვაში ძალიან მნიშვნელოვანი პორტი აქვს, რომელიც რუსეთს ძალიან უნდოდა, მაგრამ ჩერნოგორია წინააღმდეგობას უწევდა... თუ ეს



ჩვენმა გაზეთმა ბოლო ხანს არაერთგზის შესთავაზა მკითხველს მასალები, რომელიც საქართველოსთვის ანაკლიის პორტის პროექტის რეალიზების მნიშვნელობას წარმოაჩენს. დღეს გვსურს, ამ პროექტის კიდევ ერთ ასპექტზე გავამახვილოთ ყურადღება – იმაზე, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ პროექტის წარმატებით რეალიზებას ჩვენი ქვეყნის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების პერსპექტივისთვის.

ამ თემაზე ქართველი და უცხოელი ექსპერტების მოსაზრებებს გთავაზობთ.

ქვეყანა ალიანსის წევრი გახდება, ეს ნიშნავს, რომ რუსეთი ვეღარასოდეს გამოიყენებს ამ ტერიტორიას ნატოს წევრი ქვეყნების წინააღმდეგ... რაც შეეხება საქართველოს, ეს ქვეყანა უკვე დღეს უნდა იყოს NATO-ს წევრობის გზაზე, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს მისი ტერიტორიების 20% დღემდე აქვს ოკუპირებული. თავის დროზე ჩვენ მივიღეთ ალიანსში დასავლეთ გერმანია, მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ გერმანიაში იმხანად მილიონი საბჭოთა ჯარისკაცი იდგა. ვფიქრობ, ჩვენ მოვძებნით ხერხს, რათა ალიანსში საქართველოც გავაწევრიანოთ. საქართველოში უკვე არსებობს პორტი ევრაზიასა და ევროპას შორის, ხოლო ანაკლიის ახალი პორტის მშენებლობის დასრულების შემდეგ საქართველო გახდება ძალიან მნიშვნელოვანი დამაკავშრებელი რგოლი ევრაზიასა და ევროპას შორის. მე ვთვლი, რომ ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება ამაღლებს უსაფრთხოებას, რადგან ყველას აქვს საერთო ინტერესი ამ პორტის მიმართ; ყველა დაინტერესებულია იმაში, რომ საქართველო იყოს საპორტო ქვეყანა და რჩებოდეს სტაბილურად და ღიად. ეს აამაღლებს საქართველოს უსაფრთხოებას და შექმნის მნიშვნელოვან საპირწონეს შავი ზღვის რეგიონში. უდავოა, რომ NATO მომავალშიც გააგრძელებს გაფართოებას, ჩვენ ვალდებულები ვართ, გავფართოვდეთ“.

ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივნის ყოფილი მრჩეველი, ანალიტიკოსი, ევრაზიის ქვეყნების დამოუკიდებელი მკვლევარი პოლ გობლი:

„ამ (ბათუმისა და ანაკლიის) პორტების განვითარება ძალიან მნიშვნელოვანია სამი მიზეზის გამო: პირველი, ეს ქართულ კომპანიებს უფრო მეტი ექსპორტის განხორციელებისკენ გაუხსნის გზას; ეს პორტები საქართველოს საშუალებას მისცემს, უფრო დიდი როლი შეასრულოს აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის სხვადასხვა სახის ვაჭრობაში; ამ პროექტების განხორციელება საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციას შეუწყობს ხელს“.

კარნეგის ფონდის რუსეთისა და ევრაზიის პროგრამების უფროსი სპეციალისტი პოლ სტრონსკი:

„ამ პროექტების (ბათუმისა და ანაკლიის პორტები) განხორციელება გააუმჯობესებს საქართველოს პერსპექტივას, გახდეს რეგიონული სატრანსპორტო და ლოჯისტიკური ცენტრი და დამატებით მოიზიდოს ინვესტორები, რომელთაც სურთ კავშირების დამყარება კასპიის ზღვის რეგიონიდან და ცენტრალური აზიიდან სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მიმართულებით და შავი ზღვიდან სპარსეთის ყურისაკენ.

გარდა ამისა, ამ პროექტებს აქვთ პოტენციალი, მოიზიდონ უფრო მეტი ჩინური ინვესტიცია. ცნობილია, რომ ჩინელებს აქვთ დიდი ამბიციები „ერთი სარტყელი – ერთი გზის“ ინიციატივასთან დაკავშირებით. ხსენებული პროექტები რეგიონს ჩინელი ინვესტორებისთვის სავარაუდოდ, უფრო მიმზიდველს გახდის. აშშ-ის გარდა, საქართველომ უნდა იმუშაოს სხვა ქვეყნებთანაც, რომელთაც შეუძლიათ, გაზარდონ ქვეყნის უსაფრთხოება ნატოსა და აშშ-სთან ერთად. სავაჭრო და საინვესტიციო კავშირების გაღრმავება ჩინეთთან და ყურის ქვეყნებთან, სულ მცირე, ფასს დაუწესებდა რუსეთს საქართველოს წინააღმდეგ შესაძლო აგრესიის შემთხვევაში, რადგან ეკონომიკური თვალსაზრისით რუსეთი ძალიან დამოკიდებულია ჩინეთზე და ნაკლებად დამოკიდებული – ყურის ქვეყნებზე.

ამგვარად, ეკონომიკას შეუძლია, დაეხმაროს უსაფრთხოებას. ვფიქრობ, საქართველოს გრძელვადიანი უსაფრთხოება ამ ყველა ასპექტს აერთიანებს“.

საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, კავკასიის უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის სკოლის დეკანი ეკა აკობია:

„დღემდე რუსეთი საქართველოს საკუთარ უკანა ეზოდ განიხილავს, სადაც არავინ უნდა შევიდეს. რაც უფრო მეტი დიდი მოთამაშე იქნება დაინტერესებული საქართველოს სატრანზიტო ფუნქციით, ამით არა მარტო მეტ ეკონომიკურ დივიდენდს მივიღებთ, არამედ განმტკიცდება ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების გარემოც. თუ ჩინური, ინდური, პაკისტანური, ვიეტნამური კომპანიები საქართველოზე ტრანზიტის შეუფერხებლად გატარებაში ნახავენ საკუთარ ინტერესს, თუ რევერსული ტრანზიტით დაინტერესდებიან ევროპული კომპანიები, ჩვენ ვიღაცის „უკანა ეზო“ კი არა, მნიშვნელოვანი დერეფანი ვიქნებით და რუსეთი ჩვენთან დესტაბილიზაციის მოწყობას ვერ გაბედავს. შესაბამისად, გაიზრდება ჩვენი თავისუფლების ხარისხი. ამ როლის სრულყოფილად რეალიზაცია ქვეყნის ეროვნული ინტერესია და მასზე ბევრი მუშაობა გვმართებს. ჩვენი ამოცანაა, დავაინტერესოთ მსხვილი სავაჭრო პარტნიორები აღმოსავლეთით – ჩინეთი, ვიეტნამი, ინდოეთი, პაკისტანი, ირანი, ამავდროულად ვიყოთ საიმედო გამტარი და რევერსული მიმართულება ევროპის ქვეყნებისთვის, ანუ, ქმედითი კონკურენცია გავუწიოთ ჩრდილოეთის მარშრუტს. ამასთან, აღმოსავლეთით ჩვენი ჩართულობა აუცილებლად უნდა ხდებოდეს ჩვენი ევროპული ინტეგრაციის ამოცანების ჭრილში და ნიუანსობრივად ვაკვირდებოდეთ საერთაშორისო გარემოს“.

ნატოსა და ევროკავშირის ცენტრის ყოფილი ხელმძღვანელი, PMCG-ს წარმომადგენელი აშშ-ში ელენე გოცაძე:

„ანაკლიის პორტი ჩვენი პარტნიორებისთვის საინტერესო იქნება სამხედრო ტვირთების გამტარობის თვალსაზრისითაც, რაც კიდევ უფრო გაზრდის ინტერესს ჩვენი ქვეყნის მიმართ. პარალელურად შესაბამისი უწყებები მუშაობენ აშშ-სთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზეც და ეს ყველაფერი საქართველოს სრულიად ახალ შესაძლებლობებს გაუხსნის. მსგავსი მეგაპროექტები აუცილებლად შექმნის ახალ სერვისებს და ახალ შესაძლებლობებს. ის, რომ აქამდე ჩვენ ვერ ვიღებდით დიდი ტევადობის გემებს, ქმნიდა ბევრ შეზღუდვას. მომავალში ანაკლიის პორტმა უნდა შექმნას ახალი რეალობა, რაც ახალ ტვირთებსაც გულისხმობს. რესურსებით მდიდარი ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან ტვირთბრუნვა გაცილებით უნდა გაიზარდოს და ამ ახალმა რეალობამ საქართველოს სატრანსპორტო ჰაბად ჩამოყალიბებას უნდა შეუწყოს ხელი. ეს იქნება ჩვენი ქვეყნის უსაფრთხო და სტაბილური განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი პროექტი და შავ ზღვაზე სტრატეგიული პოზიციის დაკავების რეალური შესაძლებლობა“ .

რაზე უნდა გაამახვილოს ყურადღება საქართველოს მთავრობამ:

ანაკლიის პორტის პროექტის წარმატებული რეალიზება მარტივი ამოცანა არ არის და მთელ რიგ წინაღობებს აწყდება, მათ შორის უპირველესად – ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის მხრიდან. ამდენად, პროექტის წარმატებისთვის საქართველოს მთავრობას არაერთი ამოცანის გადაჭრა მოუწევს. ამ მხრივ არსებულ გამოწვევებზე დეტალურად გვესაუბრა ეკა აკობია: „ანაკლიის პორტის აშენების მიზაშეწონილობაზე ბევრი თქმულა, ხოლო თუ მოკლედ შევაჯამებთ, სტრატეგიული უპირატესობა, რაც ამ ახალი სატრანზიტო ინფრასტრუქტურით უნდა მოვიპოვოთ, არის შემდეგი: „პანამაქსის“ ტიპის დიდი გემების მიღების შესაძლებლობა, რომლებიც გაცილებით მეტ კონტეინერს იტევენ, ვიდრე ფოთის პორტში შემომავალი მცირე გემები; ადგილზე მომსახურების ეფექტური ინფრასტრუქტურის შექმნა, რომელიც რეგიონის სხვა საპორტო მომსახურებას კონკურენციას გაუწევს ტექნოლოგიური თვალსაზრისით, იქნება უფრო მოქნილი და სწრაფი, გამჭვირვალე და კონკურენტული ფასების კუთხით; წლის ნებისმიერ პერიოდში იქნება ღია, ირგვლივ კი განთავსდება თანამედროვე საწყობები და ტვირთების სწრაფი მიწოდების ინფრასტრუქტურა. ამ ყველაფრის უზრუნველყოფა, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ევალება „ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“, რომელმაც სახელმწიფო ტენდერში გაიმარჯვა. მის ეფექტურ და დროულ მუშაობაზეა დამოკიდებული ანაკლიის პროექტის შესაბამის ვადებში განხორციელება“.

იმისათვის, რომ პორტებმა თვისობრივად ახალი მნიშვნელობა შეიძინონ, საჭიროა კოორდინირებული და ინტენსიური მუშაობა სხვა მიმართულებებითაც: მთავრობამ ერთიანი მიდგომით – ეკონომიკის, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკების კოორდინირებული მუშაობით ძალიან აქტიურად უნდა იმუშაოს ტრანზიტის როგორც აღმოსავლეთის, ასევე დასავლეთის და შუა რგოლის პარტნიორებთან, ვინაიდან გაზრდილი ტვირთბრუნვის გარეშე ამ თანამედროვე და ძვირადღირებულ ინფრასტრუქტურას აზრი ეკარგება.

ცხადია, სანამ ანაკლიის პორტი შენდება, მსოფლიო ერთ ადგილზე არ დგას და ამ პორტმა კონკურენცია უნდა გაუწიოს როგორც ჩრდილოეთის (სადაც რუსეთია საკვანძო დერეფანი), ასევე სამხრეთის (ზღვით) მარშრუტებს. გარდა ამისა, უნდა გვქონდეს დივერსიფიცირებული ტვირთის მოწოდება, რადგან მხოლოდ პორტების დატვირთვა რკინიგზას დააზარალებს, ხოლო მცირე ტვირთბრუნვით პორტი რენტაბელური ვერ იქნება. ამიტომაც მუდმივად უნდა ვიყოთ უპირატესი ნიშის დაკავების და ამ ნიშის პოლიტიკურად სწორად და ეფექტიანად წარმოჩენის მცდელობების პროცესში. საქართველოს, უბრალოდ, არა აქვს იმის ფუფუნება, რომ ამ გეოპოლიტიკური მიზნის რეალიზაციისკენ მიმართულ ეფექტურ ზომებს დაჩქარებულ ტემპებში არ ახორციელებდეს.

სამწუხაროდ, ამ გამოწვევების ფონზე, კონსტიტუციური ცვილებების შედეგად მალე აღარ გვექნება უშიშროების საბჭო, როგორც უსაფრთხოების სფეროში მაკოორდინირებელი ორგანო და ეს ფუნქცია არც ერთ ახალ უწყებას არ ექნება: შესაბამისად, მუდმივად გაჭირდება ასეთ საკითხებზე „ერთიანი მთავრობის“ მიდგომის გატარება. საქართველო არ არის პოსტ-მოდერნული ქვეყანა, რომ ასეთი ორგანო მისთვის ზედმეტი იყოს. საქართველოს სჭირდება პოლიტიკების კოორდინაცია, რადგან სატრანზიტო დერეფნის როლის რეალიზაცია როგორც ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული, ასევე გეოპოლიტიკური ამოცანაა.

მსგავსი პროექტების განხორციელება ქვეყნის უსაფრთხოების ერთ-ერთი გარანტია. ამერიკული და ჰოლანდიური კომპანიების ჩართულობა, უპირველეს ყოვლისა, ხარისხის, საიმედოობის და სტაბილურობის გარანტიაა. მაგრამ ყველა ეს ღირებულება ამართლებს და ეფექტურია, როცა გარემოც შესაფერისი ხვდება. ამიტომაც აუცილებელია, გვქონდეს გამჭირვალე და ქმედითი სასამართლო სისტემა, რომ ინვესტორს ჰქონდეს დაცულობის შეგრძნება; ინფორმირებული და მაღალპროფესიული პარტნიორები სამთავრობო თუ არასამთავრობო სექტორში, რომ ინვესტორს ჰქონდეს საიმედოობის განცდა. ამგვარ სიმბიოზს თუ მივაღწევთ, ეს კიდევ ერთი გარანტია იქნება ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისთვის...

„აქცენტი“

ასე ამბობდა სალვადორ დალი

ქართულად გადმოაქცია გურამ გოგიაშვილმა

სალვადორ დალი: *„ჩემი ცხოვრების არაერთ საიდუმლოებაზე დიდი წიგნი დავწერე — და მხოლოდ ის იძლევა ჩემი გაგების უფლებას. მე კი მინდა მთელი მსოფლიოსგან გაგება, რამეთუ ომის შემდგომი ევროპის განსახიერებას წარმოვიდგენ, რომელმა ევროპამაც სუყოველი ცვლილება, სუყოველი საცადისი, სუყოველი დრამა განიცადა. სიურრეალისტური რევოლუციის განუკრძალველი კადნიერი მოისარი დღითი დღე შევიმეცნებდი მთელ დაცემა-დაკნინებას, მთელ ინტელექტუალურ გამოძახილს დიალექტიკური მატერიალიზმის ევოლუციისას და იმ არაერთი ყალბი ფილოსოფიური დოქტრინისას, სისხლისა და რასის მითებზე რომ იყო შექმნილი ნაციონალ-სოციალიზმის გულისთვის. თვით თეოლოგიასაც კი აღარ აქვს ისეთი რამ, რაც მესაიდუმლეობდა. ჩემი გონება ჩქარობს, რომ პირველი გახდეს ადამის შვილთა შორის, თუნდაც დიდ ოფლის ღვრად, ყოვლის უფრო მგზნებარე გატაცების ფასად დამიჯდეს ეს არაჩვეულებრივი აღმოჩენები“.*

კაცობრიობის უდიდესი ტრაგედია — 1945 წლის 6 აგვისტოს ხიროსიმის ატომური დაბომბვა — ახალი ნაბიჯის გადადგმის მიზეზი გახდა სალვადორ დალის შემოქმედებაში. ამ უდიდესი კატასტროფის შთაბეჭდილებისგან შეძრული მხატვარი სერიოზულად გაიტაცა ბირთვულმა ფიზიკამ და მან ატომს მიძღვნილი სურათების მთელი სერია შექმნა.

დალის შრომისუნარიანობა პირდაპირ განსაცვიფრებელია. მოთხოვნილება გაჩნდა დალის არამარტო სურათებზე, არამედ ტექსტებზეც, ინსტალაციებზეც, ფილმებზეც, ფოტორეპორტაჟებზეც, დიზაინურ იდეებზეც. სალვადორ დალის ნამუშევრები შეუდარებელია, პარადოქსულია, სიუჟეტები წარმოუდგენლად ეკლექტურია და თანაც სრულყოფილი.

სალვადორ დალი: **„მთელ მსოფლიოში, და მეტადრე ამერიკაში, ერთი სული აქვთ, სანამ გაიგებდნენ, რაშია იმ მეთოდის საიდუმლოება, რომლის წყალობითაც აგრერიგად წარვემატე. არადა, ეს მეთოდი მართლაც არსებობს და ეწოდება „პარანოიდურ-კრიტიკული მეთოდი“. აგერ უკვე ოცდაათ წელიწადზე მეტია, რაც ის გამოვიგონე და დღენიადაგ ვიყენებ, თუმცა დღემდე ვერ გამიგია, რაში მდგომარეობს ეს მეთოდი. საერთოდ და მთლიანად იმის განსაზღვრა შეიძლება, როგორც ყოვლის უფრო ბოდვისდამაგვარი, გიჟური მოვლენებისთვის და მატერიებისთვის უმკაცრესი ლოგიკური სისტემატიზაცია იმ მიზნით, რომ ჩემს ყოვლის უფრო საშიშად აკვიატებულ იდეებს საგრძნობი შემოქმედებითი ხასიათი მივანიჭო. ეს მეთოდი მხოლოდ იმ პირობებში მუშაობს, უკეთუ ღვთიური წარმოშობის ნაზ ძრავას, ცოცხალ ატომგულს რასმე და მავან გალასა ფლობ — გალა კი ერთადერთია დედამიწის ზურგზე“.**

ამერიკაში ცხოვრების რვა წლის მანძილზე დალიმ დიდძალი ქონება დააგროვა. ეპატიჟური გენიოსი დიდად სახელგავარდნილი, წარმატებული და წარმოუდგენლად მდიდარი იყო, რატომღაც შემოქმედებით ინტელიგენციაში იმ კაცის რეპუტაცია შეიძინა, ვინც მხოლოდ საკუთარი კაპიტალის გაზრდაზე ზრუნავს.

1948 წელს დალი და გალა ესპანეთში დაბრუნდნენ, დასახლებით მეთევზეთა სოფლის — პორტ ლიგატის ერთ პატარა სახლში დასახლდნენ. მხატვარს მთელი თორმეტი წელიწადი არ ეცხოვრა თავის მშობლიურ ქვეყანაში და ამ სიცარიელის შევსების აუცილებლობას გრძნობდა. ამიტომაც ამ დროის დალის სურათები მთლიანად სამშობლოს ეძღვნება.

ახალგაზრდობაში დალი ათეისტობას ესწრაფოდა, რათა მამისთვის ესიამოვნებინა, მაგრამ 1949 წელს ღმერთი ირწმუნა და ამ რწმენით იცოცხლა სიკვდილამდე.

სალვადორ დალი: ***„მაინც რა არის ეს ცა? გალა უკვე რეალობა გახდა. ზეცა არც მაღლაა, არც დაბლა, არც მარცხნივ, არც მარჯვნივ. ზეცა პირდაპირ ადამიანის მკერდშია, რომელ ადამიანსაც აქვს რწმენა“.***

სალვადორ დალისა და გალას ოფიციალური ჯვრისწერა 1958 წელს მოხდა, იმის შემდეგ, რაც მან პაპი დაითანხმა ცერემონიის გამართვაზე.

სალვადორ დალი: ***„ჩემი ვიზიტის სამასორმოცდაათ მიზანს შორის პირველი ნომერი იყო დემარში ეკლესიაში, ჩემი და გალას ჯვრისწერის ნებართვა. ეს ადვილი საქმე არ გახლდათ, რადგან გალას პირველი ქმარი, პოეტი პოლ ელუარი, ჩვენდა სასიხარულოდ, ჯერ კიდევ ცოცხალი გახლდათ“.***

დროთა განმავლობაში გალა სულ უფრო შორდებოდა სიბერისკენ მიდრეკილ ქმარს. 1965 წელს დალიმ გაიცნო ცხრამეტი წლის მოდელი ამანდა ლირი, წარმოუდგენლად ლამაზი, რომელიც მალევე იქცა სალვადორ დალის ახალ მუზად, გალას წარბიც არ შეურხევია, დასვენება და თავის სურვილებისდა მიხედვით ცხოვრება უნდოდა.

სალვადორის და გალას ურთიერთობა სულ უფრო ცივდებოდა, და 60-იანი წლების ბოლოს ცალ-ცალკე ცხოვრება დაიწყეს. დალიმ ცოლს ციხე-დარბაზი პუბოლი უყიდა, სადაც გალამ სიცოცხლის ბოლომდე იცხოვრა.

70-იან წლებში დალის ჯანმრთელობა შეერყა, რამაც უკვდავებაზე ფიქრი დააწყებინა — როგორც ხორციელ, ისე შემოქმედებითზე, 1974 წლის სექტემბერში მან საკუთარი მუზეუმი გახსნა მშობლიურ ქალაქ ფიგერასში.

სალვადორ დალი: ***„ვფიქრობ, უნდა მოვიძიო საკმაოდ დამაჯერებელი თეორიები, უკვდავების დამადასტურებელი. გუმანი მიკარნახებს, რომ სავსებით დამაკმაყოფილებელ დასაბუთებას რაიმონდო ლულიოს შრომებში მივაგნებ. თანაც კიდევ ჩემმა ტექნიკამ ისეთ სრულყოფილებას მიაღწია, რომ ფიქრადაც ვერ გავივლებდი ისეთ უაზრობას, როგორიც საკუთარი სიკვდილია. თუნდაც ძალზე ხანდაზმულ ასაკში“.***

1982 წელს სალვადორ დალის საშინელი უბედურება დაატყდა — გულის შეტევით გარდაიცვალა გალა. თუმცა, ბოლო წლებში ცოლ-ქმარს თითქმის გულები გაუცივდათ ერთმანეთის მიმართ, მაგრამ გალა მაინც მუდმივ მუზად და ცხოვრების საყრდენად რჩებოდა დალისთვის.

სალვადორ დალი: ***„...ჩვენ ვლაპარაკობდით სიკვდილზე. ყოველთაგან განსხვავებით, მარტო გალა არ განიცდის არავითარ შიშს სიკვდილის მიმართ. ის მხოლოდ იმაზე დარდობს, როგორ შევძლებ ცხოვრებას, როცა ის გვერდით არ მეყოლება“.***

ცოლის სიკვდილმა საბოლოოდ გატეხა დიდი მხატვარი. ის თვითგანადგურების გზაზე შედგა. თითქოს უკვე აღარაფერი არ აგულისყურებდა. დალი ციხე-დარბაზ პუბოლში გადავიდა, სადაც ყველაფერი გალას ახსენებდა. მან განდეგილის ხვედრი აირჩია, მხოლოდ იშვიათად იღებდა ახლო მეგობრებს. 1984 წელს ციხე-დარბაზში ხანძარი მოხდა, დალის სხეულის თითქმის ოცი პროცენტი დაეწვა, რამაც კიდევ უფრო გაურთულა ჯანმრთელობის მდგომარეობა.

თავისი ცხოვრების ბოლო წლები სალვადორ დალიმ ფიგერასში თეატრ-მუზეუმის ერთ-ერთ ოთახში გაატარა, თავისი შემოქმედებითა და იმ თაყვანისმცემლებით გარემოცულმა, ვინც მსოფლიოს იმისეულ ხედვას იზიარებდა.

1989 წლის 23 იანვარს დიდი სალვადორ დალი ოთხმოცდაოთხი წლისა გარდაიცვალა გულის უკმარისობით.

გენიალური მხატვარი დაკრძალულია თავისავე თეატრ-მუზეუმის შუაგულში საკუთარი ნამუშევრებით გარემოცული. მან მთელი თავისი ავლადიდება და ნამუშევრები ესპანეთს უანდერძა.

(გაგრძელება იძნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №196

დავიცვათ შავი ზღვის უსაფრთხოება!

ბრიუსელში ნატოს თავდაცვის მინისტერიალი მიმდინარეობს, სადაც წევრი სახელმწიფოები ალიანსის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის მნიშვნელოვან მიმართულებებს განიხილავენ. განსახილველ საკითხთა შორის არის ნატო-საქართველოს თანამშრომლობა.

მინისტერიალის ფარგლებში, 3 ოქტომბერს ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა გაიმართა, რომელზეც ალიანსის წევრებმა საქართველოსთან თანამშრომლობის სხვადასხვა ასპექტები განიხილეს.

ნატოს გენერალური მდივნის იანს სტოლტენბერგის განცხადებით, კომისიის განხილვის ერთ-ერთ მთავარ თემას წარმოადგენდა შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებაც, რადგან აღნიშნული საკითხი პრიორიტეტულია როგორც ნატოსთვის, ასევე, საქართველოსთვის. სტოლტენბერგის თქმით, ნატო და საქართველო საზღვაო უსაფრთხოების კუთხით აქტიურად თანამშრომლობენ. ნატოს სპეციალური დანაყოფები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სანაპირო დაცვასთან ერთად სხვადასხვა წვრთნას ატარებენ. ნატოს საზღვაო ძალები მჭიდროდ თანამშრომლობენ საქართველოს საზღვაო ძალებთან. კერძოდ, სუფსის საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრი (JMOC) აქტიურად თანამშრომლობს და ოპერატიულად ცვლის ინფორმაციას ნატოს საზღვაო სარდლობასთან (MARCOM).

შინაგან საქმეთა მინისტრი ისრაელის ელჩს შეხვდა

საქართველოს ვიცე-პრემიერი, შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია საქართველოში ისრაელის სახელმწიფოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს შაბთაი ცურს შეხვდა.

მხარეებმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ისრაელის სახელმწიფოს სამართალდამცავ ორგანოებს შორის არსებულ თანამშრომლობაზე ისაუბრეს, რომელიც საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე ეფექტურად ხორციელდება საპოლიციო არხებისა და ისრაელის სახელმწიფოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ატაშეს მეშვეობით. გიორგი გახარიამ საქართველოსა და ისრაელს შორის უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და უკანონო მიგრაციის სფეროებში თანამშრომლობის კიდევ უფრო გაძლიერებასთან დაკავშირებით სრული მზადყოფნა გამოთქვა.

ცვლილებები სამინისტროში

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში განხორციელებულ საკადრო ცვლილებებთან დაკავშირებით, მინისტრმა მიხეილ ბატიაშვილმა ბრიფინგი გამართა.

მან განათლების მინისტრის მოადგილედ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი დანიშნა, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურ დირექტორად ზვიად გაბისონია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორად კი ბერიკა შუკაკიძე.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორად დაინიშნა გიორგი ვაშაკიძე, ხოლო შეფასებისა და ეროვნული გამოცდების ცენტრის დირექტორად სოფიო გორგოძე.

თორნიკე რიჟვაძისა და შეიხ ალ ნეჰაიანის შეხვედრა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ თორნიკე რიჟვაძემ შეიხ სულთან ბინ ხალიფა ალ ნეჰაიანს მთავრობის ადმინისტრაციაში უმასპინძლა.

შეიხი აჭარაში მსოფლიო 43-ე საჭადრაკო ოლიმპიადის ფარგლებში აზიის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის სტატუსით იმყოფება.

შეიხ ალ ნეჰაიანმა მადლობა გადაუხადა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს მასპინძლობისთვის. მისი თქმით, შეხვედრა საინტერესო და ნაყოფიერი გამოდგა და იგი მზადაა, ახლო მომავალში საქმიანი ვიზიტით, ბიზნეს ჯგუფთან ერთად, დაბრუნდეს აჭარაში.

საქართველოს აქვს შესაძლებლობა, რეგიონში არბიტრაჟის ლიდერად იქცეს

„საპარტნიორო ფონდის“ აღმასრულებელმა დირექტორმა და საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის გამგეობის წევრმა დავით საგანელიძემ ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენცია „არბიტრაჟის დღეები 2018“-ში მიიღო მონაწილეობა და დამსწრე აუდიტორიას სიტყვით მიმართა. კონფერენციის მთავარი მიზანია საქართველოს, როგორც საერთაშორისო არბიტრაჟისადმი მეგობრულად განწყობილი ქვეყნის წარმოჩენა, რომელსაც აქვს პოტენციალი რეგიონში არბიტრაჟის ცენტრად ჩამოყალიბდეს.

„საქართველოს უდიდესი საინვესტიციო პოტენციალი აქვს. პოტენციურ ინვესტორს კი სჭირდება თავისი ინვესტიციის დაცვის მყარი გარანტიები. შესაბამისად, საქართველოში სანდო საარბიტრაჟო დაწესებულებისა და ამ მიმართულებით, სტაბილური გარემოს არსებობა ინვესტიციების დაცვის უმნიშვნელოვანესი ბერკეტია. უცხოელი ინვესტორები პირდაპირი ინვესტიციების განხორციელების წინაპირობად კონკრეტული ქვეყნის დავების გადაწყვეტის ეფექტიანი ალტერნატიული მექანიზმების არსებობას ასახელებენ. ასე რომ, ქვეყანაში სანდო და მიუკერძოებელი საარბიტრაჟო დაწესებულების, როგორც დავების მოგვარების ალტერნატიული მექანიზმის არსებობა, ერთ-ერთ მთავარ ასპექტს წარმოადგენს საქართველოს საინვესტიციო გარემოს განსავითარებლად. ხოლო საქართველოს ფინანსურად ეკონომიური გარემო, არბიტრაჟს მორგებული თანამედროვე საკანონმდებლო ბაზა, ბიზნესის წარმოების გამარტივებული პროცედურები და გეოგრაფიული ადგილმდებარეობა იძლევა იმის რეალურ შესაძლებლობას, რომ ჩვენი ქვეყანა რეგიონის ლიდერად იქცეს,“ — განაცხადა დავით საგანელიძემ.

ღონისძიებაზე სიტყვით საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, ასევე, ევროკავშირის ელჩი საქართველოში კარლ ჰარცელი, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი ნინო ჩიქოვანი, საქართველოს ბიზნესომბუდსმენი გამოვიდნენ. 2018 წლის კონფერენციის მთავარი გზავნილი იყო „ახალი ერა დავების გადაწყვეტაში“ და ღონისძიება საერთაშორისო არბიტრაჟში ახლადდამკვიდრებულ მიდგომებს, თანამედროვე ტექნოლოგიებს, ციფრულ და ონლაინ არბიტრაჟსა და დარგის სხვა აქტუალურ თემებს მიეძღვნა.

რატომ არ ცხადდება დაკითხვაზე პაატა ბურჭულაძის მეუღლე?

მიუხედავად იმისა, რომ მოწმედ დასაკითხი პირისთვის და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატისთვის წინასწარ იყო ცნობილი სხდომის თარიღისა და საათის შესახებ, ანჟელა ვასილენკო, ისევე როგორც მისი ინტერესების დამცველო ადვოკატი, არ გამოცხადდნენ გუშინდელ სხდომაზე. უფრო მეტიც, მოწმემ დატოვა საქართველო და გაემგზავრა რუსეთის ფედერაციაში, — ამის შესახებ პროკურორმა ამირან გულუაშვილმა პაატა ბურჭულაძის მეუღლის გამოკითხვასთან დაკავშირებით განაცხადა.

„ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა საგამოძიებო ორგანოები ვერ ახერხებენ ანჟელა ვასილენკოსგან ინფორმაციის მიღებას. დაახლოებით, 7 თვის განმავლობაში მოწმისთვის ცნობილია, რომ გამოძიებას აქვს კითხვები მასთან, ის არაერთხელ დაიბარეს საგამოძიებო უწყებაში და ამის მიუხედავად, ყველა შემთხვევაში, ის არასაპატიო მიზეზით თავს არიდებდა საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებას. ამ ყველაფრის გაგრძელება იყო დღევანდელი სხდომაც, რადგან ანჟელა ვასილენკო არ გამოცხადდა სასამართლოში მოწმის სახით გამოსაკითხად.

ანჟელა ვასილენკოს საგამოძიებო ორგანოსთვის არ დაუფიქსირებია პოზიცია წინასწარ, რომ ის აპირებდა საზღვარგარეთ წასვლას და ფიზიკურად არ იქნებოდა საქართველოში.

როგორც ჩვენთვის გახდა დღეს ცბობილი, მის საცხოვრებელ სახლთან იმყოფებოდა სასამართლოს კურიერი, სასამართლოში მოწმის სახით დაბარებასთან დაკავშირებით, რომელმაც შესაბამისი ოქმი შეადგინა ანჟელა ვასილენკოსთან გასაუბრების შესახებ. შედგა სიტყვიერი კომუნიკაცია მათ შორის და ვასილენკო ინფორმირებული იყო იმის თაობაზე, რომ უნდა გამოცხადებულიყო დღეს სასამართლოში“, — აცხადებს პროკურორი.

ლევან ყიფიანი ძალიან დიდ გაუგებრობაშია მოყოლილი

„მგონია, რომ ლევან ყიფიანი ძალიან გაუგებრობაშია მოყოლილი, უნდა ჩამოყალიბდეს — დამნაშავეა, ავანტიურაში იღებდა მონაწილეობას თუ ვიღაცის კორუფციულ გარიგებაში“, — ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა გედევან ფოფხაძემ სპორტის ყოფილ მინისტრთან ლევან ყიფინთან დაკავშირებით განაცხადა. მისი თქმით, ამ ყველაფერმა ისეთი ფორმა უნდა მიიღოს, რომ გავიგოთ, დანაშაულს ვინ სჩადიოდა, დამნაშავე ვინ არის და რეალურად, საქმე რასთან გვაქვს.

„არსებული ინფორმაციები ამის საშუალებას არ გვაძლევს, მაგრამ პირად შთაბეჭდილებაზე ვერაფერს გეტყვით. ჩემთვის მისი ემოციური მდგომარეობა არაფრის განმსაზღვრელი არ არის, ფაქტობრივი გარემოებები და ის მაინტერესებს, რეალურად, რასთან გვაქვს საქმე“, — განაცხადა ფოფხაძემ.

მისივე თქმით, „ომეგა ჯგუფის“ საქმეში ის, ბიძინა ივანიშვილის რაიმე ფორმით მონაწილეობას კატეგორიულად გამორიცხავს, რადგან არალოგიკურია, ადამიანი ჯერ ვიღაცისთვის ქონების დაბრუნებაში მონაწილეობდეს და შემდეგ მის დაშანტაჟებასა და ფინანსური გამორჩენის მცდელობას იწყებდეს.

„რაც შეეხება იმას, რომ ქვეყანაში შეიძლება კორუფცია იყოს, ამის გამორიცხვის უფლება იმიტომ არ გვაქვს, რომ ეს სისხლის სამართლის კანონმდებლობით დანაშაულია და საფრთხე ყოველთვის შეიძლება იყოს, ვინმემ პირადი ანგარებისთვის თავისი თანამდებობის გამოყენება მოინდომოს. უდანაშაულობის განცდა არავის უნდა ჰქონდეს და იმუნიტეტი არავის უნდა ჰქონდეს, რომ დაცულია“, — აღნიშნა ფოფხაძემ.

რეზოლუცია „საკაშვილ-ბოკერიას დანაშაულებრივ რეჟიმად გამოცხადების შესახებ

იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა „საკაშვილ-ბოკერიას დანაშაულებრივ რეჟიმად გამოცხადების შესახებ“ რეზოლუციის პროექტზე კენჭისყრა გადადო. საპარლამენტო უმრავლესობის წევრების განცხადებით, რეზოლუციის პათოსს იზიარებენ, თუმცა მიიჩნევენ, რომ დოკუმენტის სამართლებრივი მხარე გასამართია, რადგან საკანონმდებლო ორგანოს ვინმეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის უფლება არა აქვს.

კომიტეტის თავმჯდომარის ეკა ბესელიას განცხადებით, კომიტეტი დოკუმენტის თაობაზე სამუშაო შეხვედრას გამართავს, რის შემდეგაც პროექტს კენჭს უყრიან. რეზოლუციის პროექტში ნათქვამია, რომ მიხეილ სააკაშვილისა და გიგა ბოკერიას მმართველობის პერიოდში საქართველოში დანაშაულებრივი, ავტორიტარული რეჟიმი დამყარდა.

დოკუმენტში საუბარია „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან არჩევნების გაყალბებაზე, სასამართლო სისტემის დამორჩილებაზე, პოლიტიკური ოპონენტების დევნაზე, მფლობელებისთვის სატელევიზიო არხების წართმევაზე, საპროტესტო აქციების დარბევაზე, „ნულოვანი ტოლერანტობის“ მოტივით მოსახლეობის დაშინებაზე, საკუთრების უფლების შელახვასა და კოდორისა და ახალგორის „ჩაბარებაზე“.

გლობალური ზამთარი ამერიკიდან მოვა...

ამერიკის შეერთებული შტატების მასმედიის საშუალებებში, ერთიანად სამეცნიერო საზოგადოებაში ვნებათაღელვის გრადუსი თანდათანობით მატულობს. შეთქმულების თეორიის მომხრენი დარწმუნებულნი არიან, რომ მთავრობა ხალხს სიმართლეს უმალავს, რომელიც აიდაჰოს შტატში მდებარე იელოუსთოუნის სუპერვულკანის მოსალოდნელ ამოფრქვევას ეხება. საქმე ისაა, რომ ამ ბუნებრივ კატაკლიზმს, რომლის შეჩერების რაიმე საშუალება კაცობრიობას არ გააჩნია, უმალ წაშლის პირისაგან მიწისა... მთელ ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტს. ამის შემდეგ კი ჯერი მსოფლიოს დანარჩენ ნაწილებზე მიდგება... არადა, ხელისუფალნი ამტკიცებენ, რომ საშიში ჯერჯერობით არაფერია, მაგრამ არის ფაქტები, რომელთა დამალვა ვერაფრით ხერხდება.

ჯერ კიდევ შარშან ზაფხულში ამერიკის შეერთებული შტატების კოსმოსური კვლევის სააგენტოს, კემბრიჯისა და ავსტრალიის მონაშას უნივესიტეტების მეცნიერებმა გამოაცხადეს, რომ იელოუსთოუნის სუპერვულკანი აფეთქების ზღვარზეა. წლეულს მარტში კი გამოქვეყნდა სტატია, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მკვლევართა ჯგუფმა იელოუსთოუნის პარკის ქვეშ, სულ რამდენიმე კილომეტრის სიღრმეზე, ამოსაფრქვევად გამზადებული მაგმით სავსე უზარმაზარი რეზერვუვარი აღმოაჩინა. სულ ახლახან კი, აპრილის დამლევს, 100 მეტრის სიმაღლეზე გამოსტყორცნა მდუღარე წყლის მასა მსოფლიოში ყველაზე დიდმა გეიზერმა „სთიმბოთმა“ („ხომალდმა“), რომელიც ბოლო ორი თვის მანძილზე რიგით მესამე იყო. ადგილობრივი მცხოვრებნი დარწმუნებულნი არიან, სუპერვულკანი ამოსაფრქვევად მზად არის, რაც დედამიწაზე სიცოცხლეს მომაკვდინებელ საფრთხეს უქადის!

უნდა ითქვას, რომ ტერმინ „სუპერვულკანს“ მეცნიერები ვულკანების განსაკუთრებული ჯგუფის აღსანიშნავად იყენებენ, რომლებიც 1970-იან წლებში აღმოაჩინეს. მაშინ პალეონტოლოგებმა დაასკვნეს, რომ **10 მილიონი წლის წინათ ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტის ბინადარნი — მარტორქები, აქლემები, კუები და სხვ. — უბრალოდ, კი არ ამოწყდნენ, არამედ ვულკანური ფერფლისა და გაზებისგან გაიგუდნენ, რომელიც იელოუსთოუნის სუპერვულკანმა ამოაფრქვია.** თავდაპირველად იქაურობას მეტად თვალწარმტაც ველად მიიჩნევდნენ, ამიტომაც ეროვნული პარკის სტატუსი მიანიჭეს.

საგულისხმოა ისიც, რომ **ჩვეულებრივი ვულკანი სუპერვულკანისგან ისევე განსხვავდება, როგორც პისტოლეტი — ქვემეხისგან.** სუპერვულკანი — ესაა არა მთა, არამედ კალდერად წოდებული უზარმაზარი ჩაღრმავება, რომელიც თავისებურ კრატერს წარმოადგენს: იგი კი არ ამოიფრქვევა, არამედ ისეთი ძალით ფეთქდება, რომელიც ჩვეულებრივ ამოფრქვევებს ათასჯერობით აღემატება. სიძლიერითაც და შედეგებითაც იგი დიდი ასტეროიდის დაჯახებას ჰგავს. საბედნიეროდ, დედამიწაზე სუპერვულკანები ჩვეულებრივ ვულკანებზე გაცილებით ნაკლებია, თანაც ისინი ბევრად იშვიათად ფეთქდებიან.



სუპერვულკანის ბოლო ამოფრქვევა, რომელიც გეოლოგიურად დადასტურებულია, 26,5 ათას წლის წინათ ახალ ზელანდიაში ტუაპოს „გაღვიძება“ იყო. კიდევ უფრო გრანდიოზული იყო მანამდე, 48 ათასი წლით ადრე, კუნძულ სუმატრაზე ვულკან ტობას ამოფრქვევა. ამ დროს ატმოსფეროში გატყორცნილმა ფერფლმა დედამიწაზე ექვსთვიანი ღამე დააყენა. მეცნიერთა განცხადებით, ტობას ამოფრქვევამ დედამიწაზე ევოლუცია 2 მილიონი წლით უკან დასწია: საშუალო ტემპერატურა პლანეტაზე 11 გრადუსით დაეცა, მუდმივი ზამთარი გამეფდა, ექვსიდან ხუთი ცოცხალი ორგანიზმი კი დაიღუპა.

არადა, ტობა ყველაზე დიდი სუპერვულკანი სულაც არ არის იელოუსთოუნი (**რაც ინგლისურად „ყვითელ ქვას“ ნიშნავს — რედ.**) ყველა პარამეტრით მას სამჯერ აღემატება. ამ სუპერვულკანის კალდერის ფართობი 3825 კვადრატული კილომეტრია. მაგმით (**მთის გამლღვალი ქანებით — რედ.**) სავსე კალდერა ზედაპირთან სულ ახლოს, 8 კილომეტრის სიღრმეზეა.

ამერიკის შეერთებული შტატების გეოლოგიური საზოგადოების მეცნიერებმა დაადგინეს, რომ იელოუსთოუნის აქტივობა ციკლური ხასიათისაა: ის უკვე ამოიფრქვა 2 და 1,3 მილიონი, ასევე 630 წლის წინათ. ამდენად, ძნელი გამოსაანგარიშებელი არ არის, რომ მომავალი ამოფრქვევის დროს თითქმის „კარსაა მომდგარი“.

ინგლისელმა გეოლოგმა, ბუნებრივი კატასტროფების შემსწავლელი ცენტრის ხელმძღვანელმა **ბილ მაკგირმა განაცხადა, რომ, მისი გათვლებით, იელოუსთოუნის ვულკანი 2074 წელს უნდა აფეთქდეს.** ზოგიერთ მის კოლეგას კი მიაჩნია, რომ შესაძლოა ეს გაცილებით ადრე მოხდეს. პარკის ტერიტორიაზე მომუშავე გეოლოგებმა ცოტა ხნის წინათ ქვეყნის კონგრესისთვის ანგარიში მოამზადეს, რომელიც იმწამსვე გაასაიდუმლოეს. არადა, იელოუსთოუნის მახლობლად მცხოვრებნი ერთხმად აცხადებენ, რომ ხელისუფალნი დიდი ხანია, იქაური მიწისძვრის სიმძლავრეს შეგნებულად ამცირებენ, თანაც, მათ რიცხვმა შარშან, ოფიციალური სტატისტიკით, რამდენიმე ათასი შეადგინა, თუმცა **ადგილობრივები ირწმუნებიან, რომ ისინი, სულ მცირე, ათჯერ მეტი(!) მაინც იყო!** ამჟამად კალდერას უკვე მეოთხე უზარმაზარი ნაპრალი გაუჩნდა, რომელიც კარგად ჩანს თანამგზავრიდან გადაღებულ ფოტოზე.

იელოუსთოუნის ამოფრქვევის შემთხვევაში მოვლენათა შესაძლო განვითარების სცენარი მეცნიერებს უკვე გათვლილი აქვთ: **აფეთქებამდე რამდენიმე დღით ადრე დედამიწის ქერქი რამდენიმე მეტრით აიწევს, ქანები 60-70 გრადუსამდე გაცხელდება. ამოფრქვევის დროს გავარვარებული მაგმის ნაკადები 50 კილომეტრის სიმაღლეზე(!) აიტყორცნება, ბიძგებს კი პლანეტის ყველა წერტილში იგრძნობენ. პირველსავე წუთებში 1200 კილომეტრის რადიუსში მთელი სიცოცხლე მოისპობა, სან-ფრანცისკოსა და ლოს-ანჯელესის ქუჩები მეტრანახევრის სიმაღლის ვულკანური შლაკით დაიფარება, აშშ-ის დასავლეთი (ანუ წყნარი ოკეანის) სანაპირო მკვდარ ზონად გადაიქცა.**

მიწისძვრა მსოფლიოს ყველა კუთხეში რამდენიმე ათეული „ჩვეულებრივი“ ვულკანის ამოფრქვევის პროვოცირებას მოახდენს, რომელთა შედეგად უზარმაზარი ცუნამები წარმოიშვება, რომლებიც წყნარი და ატლანტიკის ოკეანისპირა ქალაქებს ერთიანად წალეკავენ.

ამოფრქვევიდან ხუთ დღეში კი დედამიწაზე მჟავის წვიმები წამოვა, რომლებიც, ფაქტობრივად, მთელ მცენარეულობას გაანადგურებენ. ატმოსფეროში ამერიკის თავზე ოზონის შრეში უზარმაზარი ხვრელი გაჩნდება, შემოჭრილი ხისტი რადიაცია კი ყველაფერს მოსპობს, რაც ფერფლსა და მჟავის წვიმებს გადაურჩება. ჩრდილოეთის ქვეყნები, მათ შორის, კანადა, შვედეთი, ნორვეგია, ისლანდია, ფინეთი და სხვ., უბრალოდ აღიგვებიან პირისაგან მიწისა. მიწისძვრა და მკვეთრი აცივება მილგაყვანილობების, რკინიგზების, ელექტროგადამცემი ხაზების უდიდეს ნაწილს მწყობრიდან გამოიყვანს.

მაგრამ ყველაზე მეტად ინდოეთი და ჩინეთი დაზარალდება, სადაც კატასტროფიდან პირველსავე კვირებში 1,5-2 მილიარდი კაცი დაიღუპება. ყველაზე ნაკლებად კი სეისმურად მდგრადი და კონტინენტების შიდა რეგიონები დაზარალდებიან. ზამთარი 4 წელიწადს გასტანს, ასი წლის განმავლობაში კაცობრიობა — რა თქმა უნდა, თუკი გადარჩება! — საგრძნობ დეგრადაციას განიცდის, რის შემდეგ, სავარაუდოდ, ახლებურად იცხოვრებს.

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

P. S. **გრძელვადიანი** **პროგნოზით, იელოუსთოუნი მომავალში კიდევ არაერთხელ ამოიფრქვევა. უახლოეს 3 თვეში ამოფრქვევა არ მოხდება — ეს მოკლევადიანი პროგნოზია. ყველაზე მეტად საინტერესო მაინც საშუალოვადიანი პროგნოზია: არსებობს მოსაზრება, რომ ამოფრქვევა შეიძლება მოხდეს უახლოესი ათასი წლის მანძილზე, სხვები კი ფიქრობენ, რომ კატაკლიზმამდე 1-2 მილიონი წელია. თან საგულისხმო ისაა, რომ ორივე მოსაზრება სავსებით არგუმენტირებულია. უფრო რეალისტური კი მაინც ის თვალსაზრისი ჩანს, რომ ამოფრქვევა უახლოეს რამდენიმე ათეულ, ან ასეულ წელიწადში მოხდება, თუმცა კი მას კატასტროფული ხასიათი არ ექნება.**

ო. ტ.

აშშ პოლონეთში სამხედრო ბაზას განათავსებს

თეთრმა **სახლმა პოლონეთში მუდმივ საფუძველზე სამხედრო ბაზის განთავსების გადაწყვეტილება მიიღო, მხარეებს მხოლოდ ტექნიკური საკითხების მოგვარება დარჩათ. ამის შესახებ პოლონეთის პრეზიდენტმა ანჯეი დუდამ Polsat News -ის ეთერში განაცხადა.**

„ის, ვინც ერკვევა ამერიკის შიდა პოლიტიკაში, იტყვის: თუ საგნობრივი საუბარი მიმდინარეობს და თეთრი სახლი თემით სერიოზულად არის დაინტერესებული, ეს ნიშნავს, რომ რეალურად გადაწყვეტილება უკვე მიღებულია, რჩება მხოლოდ ტექნიკური საკითხები“, — განაცხადა დუდამ. მისი თქმით, პოლონეთში ამერიკის სამხედრო ბაზის შექმნაში ორი ასპექტი უნდა იყოს გათვალისწინებული: ოფიციალური გადაწყვეტილების გამოცხადება და ბაზის ფაქტობრივი შექმნა. დუდას თქმით, სამხედრო ბაზისთვის ინფრასტრუქტურის შექმნას ერთ წელზე მეტი დრო დასჭირდება.

ანჯეი დუდა აღნიშნავს, რომ ამერიკული ბაზის შექმნა პოლონეთის უსაფრთხოებას გაზრდის და რუსეთის შემაკავებელი ფაქტორი გახდება. „არ მახსენდება შემთხვევა, რომ რუსეთს ისეთ ქვეყანაზე მოენდომებინა თავდასხმა, სადაც ამერიკის ბაზებია განთავსებული“, — აღნიშნა პოლონეთის პრეზიდენტმა.

ლიეტუვაში ქვეითებს გადასასვლელებზე მობილური ტელეფონით სარგებლობა აუკრძალეს

გადასასვლელებზე **მობილური ტელეფონით საუბარი, ან ტელეფონით სხვა ოპერაციების განხორციელება აიკრძალა. საგზაო მოძრაობის წესდებაში შესაბამისი შესწორება დღეს შევიდა. გადაწყვეტილების თანახმად, გზაზე გადასვლისას ქვეითებმა „ისეთი არაფერი არ უნდა გააკეთონ, რაც მათ ყურადღებას გაუფანტავს, მათ შორის არ გამოიყენონ მობილური კავშირის საშუალებები“.**

განცხადება

აუქციონის განმეორებით ჩატარების შესახებ

შპს „ენგურჰესი" (იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ. №8 III-სართ. ფაქტიური მდებარეობა აფხაზეთი, გალის რ-ნი დას. საბერიო) ნაწილობრივ ამორტიზირებულ ძირითადი საშუალებების რეალიზების მიზნით (ავტოსატრანსპორტი და მექანიზმები), აცხადებს აუქციონს ქვემოთ ჩამოთვლილ ქონებაზე:

#	დასახელება	ნომერი	გამოშვების წელი	საწყისი ფასი	„ბე"-ს ოდენობა	ბიჯი	ბილეთის ფასი	მდებარეობა
1	2	3	4	5	6	7	8	9
1.	მერსედეს ბენცი (ავტობუსი)	A964PO	1990	3000	300	30	20	საბერიო
2.	ავტკავზი 32270		1988	1500	150	20	10	საბერიო
3.	უაზი მ/ა	FAH-255	1999	1000	100	20	10	ჯვარი
4.	ტოიოტა 4 რანნერი	NBN310	1997	3000	300	30	20	ჯვარი
5.	ტოიოტა 4 რანნერი	TWT 354	2000	4000	400	50	20	საბერიო
6.	უაზ 2206	FAP 323	2000	1000	100	20	10	ჯვარი
7.	ტვაიტსი-დამპერი	ინვ.ნომ. 41/2	2005	20000	2000	200	20	ჯვარი
8.	ტვაიტსი - დამპერი	ინვ. ნომ. 41/4	2005	17000	1700	150	20	ჯვარი
10.	სატვირთო ა/მ RENAUT 27APAZ		2006	20000	2000	200	20	საბერიო
11.	სატვირთო კაზ 4540		1998	3000	300	40	20	საბერიო
12.	სატვირთო ბორტიანი მერსედეს/ბ	SMK410	1992	8000	800	100	20	საბერიო
13.	მსუბუქი მაღალი გამავლობის HUNDAI	HMH 168	2000	4000	400	50	20	საბერიო
14.	მინი დამპერი ტვაიტსი	THWAITES	2004	20000	2000	200	20	ჯვარი
16.	სატვირთო ა/მ ГЗСА 950		1989	2000	200	50	20	საბერიო
17.	მოტოროლერი BASHAN 1SHZ		2001	300	50	10	10	საბერიო
18.	ჯოლხა 33063		2000	1500	150	30	20	რეჩხი ვარდნილი
19.	ფორდ ტრანზიტი	LIK 368	1995	3500	350	50	20	რეჩხი ვარდნილი
20.	ოპელ ვექტრა	CAI 638	1990	500	50	10	10	რეჩხი ვარდნილი
21.	ოპელ ვექტრა „ბ"	VNV 724	1998	2500	250	50	10	რეჩხი, ვარდნილი,

აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულებას, აუქციონში მონაწილეობის მსურველი იხდის შპს „ენგურჰესის" საბანკო ანგარიშზე. აუქციონში მონაწილეობის მსურველი განაცხადთან და „ბე"-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად რეგისტრატორს წარუდგენს აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულების გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, რის შემდეგაც ტარდება რეგისტრაციაში და იღებს აუქციონში მონაწილის ბილეთს. აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულება არ შედის სარეალიზებო ღირებულებაში და გამოქვითვას არ ექვემდებარება.

თანხის („ბე"-ს, აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის) გადახდის საბანკო რეკვიზიტებია: შპს „ენგურჰესი", ს/კ 251716371, VTB ბანკის კოდი UGEBGE22, ანგარიშგების ანგარიში GE97VT6600000003403403.

განაცხადების მიღების ადგილია ქ. ზუგდიდი რუსთაველის №90, მეორე სართული, შ.პ.ს. „ენგურჰესის" ოფისი. განაცხადების მიღების ვადაა **2018 წლის 5 ოქტომბრის 10 სთ-დან 2018 წლის 12 ოქტომბრის 13 - სთ-მდე,** ყოველდღე, სამუშაო საათებში.

აუქციონი ჩატარდება **2018 წლის 12 ოქტომბერს 14 სააათზე,** მითითებულ მისამართზე.

აუქციონში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში გააფორმოს შპს „ენგურჰესთან" შესაბამისი ხელშეკრულება და აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან, 30 კალენდარული დღის განმავლობაში, დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ქონების საბოლოო გამოსასყიდი თანხა. წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე"-ს შენატანი არ დაუბრუნდება. აუქციონში მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, (შეგიძლიათ მიიღოთ ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მეორე სართული შპს „ენგურჰესის" ოფისი);
-„ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
-აუქციონში მონაწილეობის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; ფიზიკური პირის შემთხვევაში პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;
იურიდიული პირისათვის- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა, თუ აუქციონში მონაწილეობს სხვა პირის სახელით.

სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვების გამოვლენის კრიტერიუმია საწყისს გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

სარეალიზაციო ქონების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მეორე სართული შპს „ენგურჰესის" ოფისი, ტელ. 595 227050.

შპს ენგურჰესის აუქციონის მომწყობი კომისია

ვანო მერაბიშვილი კლინიკიდან ე. წ. მატროსოვის ციხეში გადაიყვანეს

საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი კლინიკადან ე.წ. მატროსოვის ციხეში გადაიყვანეს.

ცნობისთვის, ვანო მერაბიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით „მედიქლაბ ჯორჯიაში" ექიმების კონსილიუმი შეიკრიბა. მერაბიშვილის მკურნალი ექიმის ელენე ხურციძის ინფორმაციით, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია და არ არსებობს საფუძველი, რომ ის „მედიქლაბ ჯორჯიაში" დატოვონ.

გატაცებულ მაია ოთინაშვილს დაზიანებები არ აღენიშნება

რუსი ოკუპანტების მიერ დაკავებული მაია ოთინაშვილის ოჯახმა წითელი ჯვრის წარმომადგენლებისგან მიიღო ინფორმაცია, რომ დაკავებულს ფიზიკური დაზიანებები არ აღენიშნება.

როგორც საზოგადოებრივ მაუწყებელს მაია ოთინაშვილის მეუღლემ იგორ მაყიშვილმა განუცხადა, მათ წითელი ჯვრის წარმომადგენლები ტელეფონით დაუკავშირდნენ და მოკლე ინფორმაცია მიაწოდეს.

მისივე თქმით, მაია ოთინაშვილი წითელი ჯვრის ცხინვალის ოფისის წარმომადგენლებმა მოინახულეს და როგორც ისინი აცხადებენ, საოკუპაციო რეჟიმის მიერ დაკავებულს გარეგნული დაზიანებები არ აღენიშნება.

შეგახსენებთ, ხურვალეთში მცხოვრები მაია ოთინაშვილი, რომელსაც სამი არასრულწლოვანი შვილი ჰყავს, რუსეთის საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებმა 29 სექტემბერს დააკავეს.

ზაურ გურჩიანი სოხუმის იზოლატორიდან გათავისუფლდა

52 წლის ზაურ გურჩიანი სოხუმის იზოლატორიდან 2-თვიანი პატიმრობის შემდეგ გაათავისუფლეს.

ზაურ გურჩიანი 5 აგვისტოს ე.წ საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებმა დაკავეს.

ზაურ გურჩიანის დაკავების შესახებ, მისმა ოჯახის წევრებმა რეგიონალურ საკითხებში პრემიერ-მინისტრის მრჩეველს სოზარ სუბარს შეატყობინეს და საქართველოს პრემიერ-მინისტრს წერილით მიმართეს. პრემიერ-მინისტრის დავალებით, ზაურ გურჩიანის გათავისუფლების მოთხოვნით, ყველა შესაბამისი სამთავრობო სტრუქტურა აწარმოებდა მოლაპარაკებებს. ზაურ გურჩიანმა ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორია დატოვა და ოჯახს დაუბრუნდა. ოჯახის წევრების თქმით, ზაურ გურჩიანზე ფიზიკური ზეწოლა არ განხორციელებულა, თუმცა მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში იმყოფება.

ზაურ გურჩიანის ოჯახი დიდ მადლობას უხდის საქართველოს პრემიერ-მინისტრს მამუკა ბახტაძესა და სოზარ სუბარს, რომლებმაც, მათი თქმით, პირველივე წუთებიდან ყველაფერი გააკეთეს, რათა ზაურ გურჩიანი საკუთარ ოჯახს უვნებლად დაბრუნებოდა. ზაურ გურჩიანის სახლი სოხუმში ომი დროს დაიწვა. გურჩიანების ოჯახმა აფხაზეთი ჭუბერის გავლით დატოვა და მას შემდეგ სოფელ ჭუბერში ცხოვრობს. მათი ნათესავები დღესაც იმყოფებიან აფხაზეთის სოფელ აჟარაში, სწორედ მათთან მიდიოდა, პერიოდულად, ზაურ გურჩიანი.

განცხადება

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი აცხადებს დია კონკურსს სტომატოლოგიის, ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის, მედიცინის (დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ქართული და ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამები) ფაკულტეტებზე პროფესორის, ასოცირებული პროფესორის და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად.

დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ ვებ-გვერდზე: **https://geomedi.edu.ge/**

ვებ-გვერდი: **www.geosis.edu.ge www.geomedi.edu.ge**

ელ.ფოსტა: **info@geosis.edu.ge**
ტელ.: 2 75 25 20, მობ: 593 66 98 58

◎ ჭადრაკი

ოლიმპიადა დღეს დამთავრდება

ბათუმში მიმდინარე მსოფლიოს 43-ე საჭადრაკო ოლიმპიადის მე-9 ტურში საქართველოს ვაჟთა გუნდებმა ქალებზე უკეთესად ითამაშეს — სამივე პაექრობა მოიგეს. თუმცა, ჩვენმა მანდილოსანთა პირველმა ნაკრებმა მონღოლეთს აჯობა და საერთო 14 ქულით ლიდერებს მიუახლოვდა. 9 ტურის შემდეგ 16 ქულით ისევ ჩინეთი მეწინავეობს. ვაჟებში პოლონეთის ნაკრებმა ამერიკელთა სუპერგუნდი დაჯაბნა და ისიც 16 ქულით გათამაშების ცხრილის სათავეში მოექცა.

CHESS OLYMPIAD
BATUMI 2018 GEORGIA

მე-9 ტური

ქალები

მონღოლეთი-საქართველო (1) 1:3 (ბატჰუანგ მუნგუნტუული — ნანა ძაგნიძე 0:1, დავაადემბერელ ნომინ-ერდენე — ლელა ჯავახიშვილი 0.5:0.5, ტურმუნხ მუნხზული — ნინო ბაციაშვილი 0.5:0.5, ტუვშინთუნგს ბატჩიმეგი — ბელა ხოტენაშვილი 0:1), **საქართველო (2) — სერბეთი 2:2** (სალომე მელია— იოვანა რაპორტი 0.5:0.5, ინგა ჭარხალაშვილი — იოვანა ერიჩი 0.5:0.5, სოფიკო ხუხაშვილი — ადელა ველიკიჩი 1:0, მირანდა მიქაძე — ტეოდორა ინჯაჩი 0:1), **საქართველო (3) — ვიეტნამი 0.5:3.5** (ნინო ხომერიკი — ნგუენ ლე ტაო პჰამი 0.5:0.5, მარიამ ჯანიაშვილი — თრამ დი ბაო ჰოანგი 0:1, ლილე ქორიძე — დი მაო ჰუანგ ნგუენი 0:1, თამარ ესაძე — დუონგ ბაჩი 0:1)... **ყაზახეთი — ჩინეთი 1:3, აზერბაიჯანი — უკრაინა 2:2, აშშ — უნგრეთი 2.5:1.5, სომხეთი — ირანი 3:1, რუსეთი — რუმინეთი 3:1, იტალია — ინდოეთი 2:2, უზბეკეთი — საფრანგეთი 2:2.**

ვაჟები

საქართველო (1)-ბელარუსი 2.5:1.5 (მიხეილ მჭედლიშვილი-ვლადისლავ კოვალიოვი 0.5:0.5, ივან ჩეპარინოვი — ალექსეი ალექსანდროვი 1:0, ლევან ფანცულაია — კირილ სტუპაკი 0.5:0.5, დავით ჯოჯუა — ალექსეი ფიოდოროვი 0.5:0.5), **საქართველო (2)-ლატვია 2.5:1.5** (ლუკა პაიჭაძე-იგორ კოვალენკო1:0, თორნიკე სანიკიძე — არტურს ნეიკსანი 0.5:0.5, ირაკლი ბერაძე — ნიკიტა მეშკოვსი 0.5:0.5, გიგა ყუფარაძე — არტურს ბერნოტასი 0.5:0.5), **საქართველო (3) — ალჟირი 2.5:1.5** (ნოე თუთისანი — ბილელ ბელაჩენე 0.5:0.5, ლუკა ობოლაძე — აიმენ სიზუკი 0:1, ნიკოლოზ პეტრიაშვილი — არაზ ადლანე 1:0, გიორგი სიბაშვილი — საად ბელოუადამი 1:0)... **პოლონეთი — აშშ 2.5:1.5, აზერბაიჯანი — ჩინეთი 1.5:2.5, ინდოეთი — სომხეთი 1.5:2.5, გერმანია — საფრანგეთი 2:2, ინგლისი — ნორვეგია 3:1, იტალია — რუსეთი 1:3, ავსტრია — ხორვატეთი 1:3, ჰოლანდია — მოლდოვა 3:1, ისრაელი — უნგრეთი 3:1.**

ლეძსო ციწცაძე.

◎ კადრები

აზმაიფარაშვილი ევროპას ისევ უთავკაცებს

ბათუმში საჭადრაკო ოლიმპიადის პარალელურად ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი გაიმართა, რომელმაც ფიდეს და საკონტინენტო ფედერაციების პრეზიდენტები აირჩია. ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტობაზე სამ კანდიდატს უნდა ეყარა კენჭი — **არკადი დვორკოვიჩს** (რუსეთი), ფიდეს ვიცე პრეზიდენტ **გეორგიოს მაკროპულოსსა** (საბერძნეთი) და **ნაიჯელ შორტს** (ინგლისი). ხმის მიცემამდე რამდენიმე წუთით ადრე ინგლისელმა თავისი კანდიდატურა მოხსნა დვორკოვიჩის სასარგებლოდ. „ფიდეს ახალი ადამიანები სჭირდება, ისეთები, როგორიც დვორკოვიჩია, მაკროპულოსი და მისი გუნდი კი მუზეუმს უნდა ჩავაბაროთ“, — განაცხადა მან კონგრესზე.

კენჭისყრაში 182 დელეგატი მონაწილეოდა. 103 ხმით 78-ის წინააღმდეგ (ერთი ხმა ბათილად ცნეს) არკადი დვორკოვიჩმა გაიმარჯვა და იგი ფიდეს ოთხი წლის განმავლობაში უხელმძღვანელებს.

2014 წელს ნორვეგიის ქალაქ ტრომსოში ფიდეს კონგრესზე ევროპის საჭადრაკო კავშირის პრეზიდენტად ქართველი დიდოსტატი **ზურაბ აზმაიფარაშვილი** აირჩიეს. ბათუმში იგი მეორე ვადით იყრიდა კენჭს. მას კონკურენტი არ ჰყავდა. პრეზიდენტობის კანდიდატს 50-დან 44 დელეგატმა დაუჭირა მხარი. ოთხი ბიულეტენი ცარიელი იყო, ორი კი ბათილად ცნეს. ამდენად, ბებერი კონტინენტის ბრძენთა თამაშის მოყვარულებს მომდევნო ოთხი წლით ისევ ზურაბ აზმაიფარაშვილი უთავკაცებს.

ლაშა დიდია

◎ რეტრო

გამარჯვება, რომელიც აღარ განმეორდება

სათაურმა შეცდომაში არ შეგიყვანოთ, არც საპირველაპრილო ხუმრობის მაგვარი გეგონოთ. ეს მატჩი, წერილს სათაურად რომ წავუმძღვარე, 1979 წლის 3 ოქტომბერს ჩატარდა და მას კოკისპირულ წვიმაში „დინამოს“ მაყურებლებით გადაჭედილმა სტადიონმა უმასპინძლა. ქართული ფეხბურთის ყველა დროის საუკეთესო გუნდის, თბილისის „დინამოს“ დებიუტი ევროპულ საკლუბო ტურნირებში 1972 წლის 13 სექტემბერს შედგა, მეტოქედ კი ჰოლანდიის „ტვენტე“ ხვდა. მიუხედავად შინ თბილისელთა გამარჯვებისა, ორი მატჩის ჯამში შემდეგ წრეში ჰოლანდიელები გავიდნენ. ჩემი თაობის გულშემატკივრები ამაყები ვართ, რომ სტადიონზე და ზოგჯერ ტელეეკრანებზე გვაქვს ნანახი „დინამოს“ მიერ მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვებები. ამის საილუსტრაციოდ მიზანშეწონილად მივიჩნიე, თბილისელთა მონაწილეობით შემოგთავაზოთ იმ მატჩების ჩამონათვალი, სადაც ქართველი ფეხბურთელები ტოლ-სწორად ებრძოდნენ და ბევრ შემთხვევაში გამარჯვებულნი გამოსულან მრისხანე მეტოქეებთან დაპირისპირებაში.

საერთაშორისო ამხანაგური მატჩები

„დინამო“ თბილისი —„ატლეტიკო“ ესპანეთი, 0:0 (4-2 , პენალტებით), 1973წ. 18 აგვისტო.

„დინამო“ თბილისი — „ბენფიკა“ პორტუგალია, 3:1, 1973 წ. 19 აგვისტო.

„დინამო“ თბილისი — „ბეშიქთაში“ თურქეთი, 1:0, 1973 წ. 17 ნოემბერი.

„ბოკა ხუნიორსი“ არგენტინა — „დინამო“ თბილისი, 1:1, 1980 წ. 1 თებერვალი.

ევროპის საკლუბო ტურნირები

„დინამო თბილისი“ — „ტოტენჰემი“ ინგლისი, 1:1, 1973 წ. 28 ნოემბერი.

„ინტერი“ მილანი — „დინამო“ თბილისი, 0:1, 1977 წ. 14 სექტემბერი.

„დინამო“ თბილისი — „ინტერი“ მილანი, 0:0, 1977 წ. 28 სექტემბერი.

„დინამო“ თბილისი — „ნაპოლი“ იტალია, 2:0, 1978 წ.13 სექტემბერი.

„ნაპოლი“ იტალია — „დინამო“ თბილისი, 1:1, 1978 წ. 27 სექტემბერი.

„დინამო“ თბილისი — „ჰერტა“ გერმანია, 1:0, 1978 წ. 1 ნოემბერი.

„დინამო „თბილისი — „ლივერპული“ ინგლისი, 3:0, 1979 წ. 3 ოქტომბერი.

„ვესტ ჰემი“ ლონდონი — „დინამო“ თბილისი, 1:4, 1981 წ. 4 მარტი.

„დინამო“ თბილისი — „ფეიენოორდი“ ჰოლანდია, 3:0, 1981 წ. 8 აპრილი.

„დინამო“ თბილისი — „კარლცეისი“ იენა, 2:1, 1981წ. 13 მაისი.

ამ გამარჯვების დაჯერება დღევანდელი თაობის გულშემატკივრებს ფანტაზიის ნაყოფი უფრო ეგონებათ და თუ ვინმეს ეეჭვება, მოიძიონ საფეხბურთო ლიტერატურა ან ცნობარი და დარწმუნდებით წარმოდგენილი მატჩების სინამდვილეში. ახლა იმ დიდ გამარჯვებაზე, რომელიც 1979 წლის 3 ოქტომბრით თარიღდება. ხანგრძლივი საფეხბურთო უიღლობის შემდეგ 1978 წელს თბილისის „დინამომ“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტული მეორედ მოიპოვა, ეს კი იმის გარანტია იყო, რომ გუნდი 1979-80 წლების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში ჩაერთვებოდა. კენჭისყრის შედეგად ქართველ ფეხბურთელებს ლეგენდარული ინგლისის „ლივერპული“ ერგოთ. პირველი მატჩი ლივერპულში 1979 წლის 19 სექტემბერს შედგა. საწყისმა წუთებმა მასპინძლებს ბევრი არაფერი მისცა. „დინამოს“ მცველები ყურადღებით თამაშობდნენ და კონტრშეტევებიც მწვავე ჰქონდათ. ყველაზე მძიმე წუთები უკან დარჩა. მათ ტოლი არ დაუდეს მრისხანე მეტოქეს და მინიმალური ანგარიშით 1:2 დამარცხდნენ, რაც გარკვეულწილად ასეთ ტურნირებში მონაწილეობის გამოუცდელობას უნდა მივაწეროთ. თბილისელთაგან ბურთი ალექსანდრე ჩივაძემ გაიტანა.

განმეორებით შეხვედრაში თბილისელებმა 90 000 მაყურებლის თანდასწრებით პირწმინდად დაჯაბნეს ინგლისური გრანდი 3:0, გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს: გუცაევმა (55წთ), შენგელიამ (75წთ) და ჩივაძემ (81წთ) პენალტი).დინამოელებმა ისტორიული მატჩი შემდეგი შემადგენლობით ჩაატარეს: ოთარ გაბელია, გოჩა მაჩაიძე, ალექსანდრე ჩივაძე, შოთა ხინჩაგაშვილი, გიორგი ჭილაია, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, ვახტანგ ქორიძე, ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი, რამაზ შენგელია.

აი, ასეთი წარმატებებით გვანებივრებდა ეპოქალური გუნდი თბილისის „დინამო“ გულშემატკივრებს და რა გასაკვირია, რომ დღესაც ამაყი ვარ, თბილისის „დინამო“ ჩემი გულის განუყოფელი ნაწილია და ასე იქნება, სანამ პირში სული მიდგას. დღევანდელი თაობის გულშემატკივრებიც ასეთი შთამბეჭდავი გამარჯვებების მომსწრენი რომ იყვნენ, ისინიც ასე იამაყებდნენ. როგორ პესიმისტურადაც უნდა გეჩვენოთ, ასეთი გამარჯვებების გამეორება დღევანდელი გადასახედიდან ნამდვილად დაუგვიანდებათ ყველა თაობის გულშემატკივრებს.

ბეჟან ჩხეიძე
ზესტაფონი

◎ ფეხბურთი

„ლოკომოტივს“ საპლეიოფე შანსები შეუმცირდა

ჩემპიონთა ლიგის მორიგ სათამაშო დღეს საბა კვირკველიას „ლოკომოტივმა“ შინ „შალკესთან“ მატჩის მიწურულს გაშვებული ბურთით წააგო. პირველ ტაიმში რკინიგზელებმა“არაერთი საგოლე მომენტი გაანიავეს. ამ მარცხის შემდეგ „ლოკომოტივის“ საპლეიოფო შანსები ძალიან შემცირდა.

A ჯგუფი

„დორტმუნდი“ — „მონაკო“ 3:0.

გოლები: 1:0 ლარსენი (51), 2:0 პაკო ალკასერი (72), 3:0 როისი (90(2). გამოუყენებელი პენალტი: პაკო ალკასერი(69. დორტმუნდი).

„ატლეტიკო“ — ბრიუგე 3:1.

გოლები: 1:0 გრიზმანი (28), 1:1 გრონეველდი (39), 2:1 გრიზმანი (67), 3:1 კოკე (90(4).

ორი ტურის შემდეგ: „დორტმუნდი“ — 6 (4:0), „ატლეტიკო“ — 6 (5:2), „ბრიუგე“ — 0 (1:4), „მონაკო“ — 0 (1:5) ქულა.

B ჯგუფი

„ტოტენჰემი“ — ბარსელონა 2:4.

გოლები: 0:1 ფილიპე კოუტინიო (2), 0:2 რაკიტიჩი (28), 1:2 კეინი (52), 1:3 მესი (56), 2:3 ლამელა (66), 2:4 მესი (90).

„ეინდჰოვენი“ — „ინტერი“ 1:2.

გოლები: 1:0 როსარიო (27), 1:1 ნაინგოლანი (44), 1:2 იკარდი (60).

„ბარსელონა“ — 6 (8:2), „ინტერი“ — 6 (4:2), „ტოტენჰემი“ — 0 (3:6), „ეინდჰოვენი“ — 0 (1:6) ქულა.

C ჯგუფი

„პსჟ“ — ცრვენა „ზვეზდა“ 6:1.

გოლები: 1:0 ნეიმარი (20), 2:0 ნეიმარი (22), 3:0 კავანი (37), 4:0 დი მარია (41), 5:0 მბაპე (70), 5:1 მარინი (74), 6:1 ნეიმარი (81)

„ნაპოლი“ — „ლივერპული“ 1:0.

გოლი: 1:0 ინსინიე (90).

„ნაპოლი“ — 4 (1:0), „ლივერპული“ — 3 (3:3), პსჟ - 3 (8:4), „ცრვენა ზვეზდა“ — 1 (1:6) ქულა.

D ჯგუფი

„ლოკომოტივი“ — „შალკე“ 0:1.

გოლი: 0:1 მაკენი (88).

„პორტუ“ — „გალათასარაი“ 1:0.

გოლი: 1:0 მარეგა (49).

„პორტუ“ — 4 (2:1), „შალკე“ — 4 (2:1), „გალათასარაი“ — 3 (3:1), „ლოკომოტივი“ — 0 (0:4) ქულა.

გივი გაგუა

2019 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲑᲘᲣᲯᲔᲢᲝ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘ

2019 ᲬᲚᲘᲡ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში, რომელიც პარლამენტში განსახილველად შევიდა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის გამოყოფილია 1 965.0 მლნ ლარი, რაც 139.8 მლნ ლარით აღემატება 2018 წლის მაჩვენებელს. გთავაზობთ იმ პროექტების ჩამონათვალს, რომლებიც გამოყოფილი თანხის ფარგლებშია გათვალისწინებული:

საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის — 1 377.1 მლნ ლარი, მათ შორის თანხები მიიმართება შემდეგი საავტომობილო გზების მშენებლობა-რეკონსტრუქციაზე: — **მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთზე საავტომობილო გზის და გვირაბის მშენებლობა — 135.0 მლნ ლარი; აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზემო ოსიაური-რიკოთის მონაკვეთი — 100.0 მლნ ლარი; რიკოთის გვირაბი — არგვეთის მონაკვეთი — 317,9 მლნ ლარი; — სამტრედია-გრიგოლეთის მონაკვეთი — 100.0 მლნ ლარი; ბათუმის ახალი შემოვლითი გზა — 70.0 მლნ ლარი; გრიგოლეთი-ჩოლოქის მონაკვეთის მშენებლობა — 58.5 მლნ ლარი; ქუთაისის შემოვლითი საავტომობილო გზის მეორე ზოლი — 54.0 მლნ ლარი; ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის საავტომობილო გზის; ჩუმათელეთი-ხარაგაულის მონაკვეთის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია — 28.5 მლნ ლარი; სნო-ჯუთა-როშკა-შატილი-ომალო-ხადორის ხეობა — ბაწარა — ახმეტის მიმართულებით საავტომობილო გზების რეკონსტრუქცია-მშენებლობა — 20.0 მლნ ლარი; ბაღდათი-აბასთუმნის საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია — 20.0 მლნ ლარი; ანაკლიის პორტთან მისასვლელი საავტომობილო გზის და რკინიგზის მშენებლობა — 20 მლნ ლარი; ზემო იმერეთი (საჩხერე) — რაჭის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-მშენებლობა — 15 მლნ ლარი; ბათუმი (ანგისა) — ახალციხის საავტომობილო გზის ხულო-ზარზმის მონაკვეთის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია — 13.0 მლნ ლარი.**

რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის გათვალისწინებულია 254.1 მლნ ლარი, მათ შორის: **მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა (ADB) — 80.0 მლნ ლარი; საქართველოს ურბანული რეკონსტრუქციის და განვითარების პროექტი (EIB) — 70.0 მლნ ლარი; რეგიონალური განვითარების პროექტი (კახეთი, იმერეთი, მცხეთა-მთიანეთი და სამცხე-ჯავახეთი) — ჯამში 38.5 მლნ ლარი; რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი — 13.0 მლნ ლარი; საქართველოს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი — 10.0 მლნ ლარი;**

წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციისთვის გათვალისწინებულია 225.5 მლნ ლარი, მათ შორის 2019 წელს განხორციელდება: **რეგიონებში ინფრასტრუქტურული პროექტების მხარდაჭერის ღონისძიებები — 25.0 მლნ ლარი, მათ შორის ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ გუდაურში წყლის ხელოვნური რეზერვუარის მშენებლობა და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება; ურბანული მომსახურების გაუმჯობესების პროგრამა — 160.0 მლნ ლარი, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია სასმელი წყლის და წყალარინების სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია (მესტია, ანაკლია, ურეკი, ფოთი, ზუგდიდი, ჯვარი, ჭიათურა, გუდაური, ბაკურიანი, ბოლნისი, მარნეული), ასევე ქუთაისის და თელავის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაცია და აბაშის მაგისტრალური მილსადენის რეაბილიტაცია.**

400 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ „ᲕᲐᲠᲫᲘᲘᲡ ტᲔᲠᲐᲡᲔᲑᲖᲔ“ ᲠᲗᲕᲔᲚᲘᲐ

ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ „ვარძიის ტერასებმა“ ვაზის აღდგენილი უიშვიათესი ისტორიული ჯიშების პირველი მოსავალი აიღო. რთველში მონაწილეობა მიიღეს კლასიკური ავტომობილების რალის — „Peaks of Caucasus“-ის პილოტებმა, ადგილობრივმა მოსახლეობამ და ჟურნალისტებმა.

მესხეთი საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად ქართული მეღვინეობის ერთ-ერთ აკვნად მიიჩნევა. აქ საუკუნეების წინ მევენახეობა მაღალ დონეზე იყო განვითარებული, რასაც ნასახლარებთან შემორჩენილი საუკუნოვანი ვაზის ჯიშები და ქვაში გამოკვეთილი უნიკალური საწნახელებიც მოწმობს. მე-16 საუკუნის ბოლოს მესხურ ტერასებზე უკანასკნელი რთველი შედგა, რის შემდგომაც ისტორიულად ცნობილი სირთულეების გამო მესხური ვაზის უძველესი ჯიშები თითქმის მთლიანად განადგურდა.

2015 წელს, ბიზნესმენების მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძის და მესხური ვაზის ჯიშების კოლექციონერის გიორგი ნათენაძის ერთობლივი ძალისხმევით სოფელ ხიზაბავრაში აღდგა მე-12 საუკუნის თამარ მეფის დროინდელი ტერასები.

დიდი ძალისხმევის შედეგად, ამჟამად, აღდგენილია ისტორიული ტერასების 12 ჰექტარი, სადაც გაშენდა მესხური ვაზის 24 უიშვიათესი ჯიში. დაგეგმილია კიდევ 11 ჰექტარის გაშენება, სადაც სხვა აღდგენილი ჯიშებიც დაირგვება.

„ვარძიის ტერასებზე“ ახალი სიცოცხლე დაიწყეს ისეთმა უნიკალურმა ჯიშებმა, როგორიცაა: „თამარის ვაზი“, „ჯვარი“, „მესხური მწვანე“, „მესხური ხარისთვალა თეთრი“, „შავი ხარისთვალა“, „მესხური ცხენის ძუძუ თეთრი“, “დანახარული“, „მესხური ჩიტისთვალა თეთრი“, „მესხური ჩიტისკვერცხა“, და ა. შ.

მომავალ წელს, კომპანია გეგმავს, აღადგინოს მესხური ტრადიციული არქიტექტურის ოდა და ქართული მეღვინეობის განუყოფელი ნაწილი — საქვევრე მეურნეობა. აქ მოსულ სტუმრებს გაუმასპინძლდებიან უნიკალური მესხური ღვინოებითა და კერძებით.

ᲕᲘᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲤᲣᲚᲘ ᲔᲠᲒᲔᲑᲐ?

2019 ᲬᲚᲘᲡ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის გათვალისწინებით, 2018 წელთან შედარებით, მთავრობის ადმინისტრაციის დაფინანსება 15 მლნ 822 ათასი ლარიდან 15 მლნ 800 ათას ლარამდე მცირდება.

ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲗ, 2018 ᲬᲔᲚᲗᲐᲜ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ, ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲐ 82 ᲛᲚᲜ 300 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘᲓᲐᲜ 91 ᲛᲚᲜ ᲚᲐᲠᲐᲛᲓᲔ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ.

დოკუმენტის მიხედვით, მიმდინარე წელთან შედარებით, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის დაფინანსება ერთი მლნ 600 ათასი ლარიდან 2 მლნ 850 ათას ლარამდე იზრდება.

პარლამენტში მთავრობის მიერ წარდგენილი პროექტით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაფინანსება 229 მლნ 550 ათასი ლარიდან 324 მლნ 750 ათას ლარამდე იზრდება, საიდანაც 14 მლნ ლარი გრანტია, ხოლო 96 მლნ 600 ათასი — კრედიტი.

2018 წელთან შედარებით, დაფინანსება ეზრდება იუსტიციის სამინისტროსაც. თეა წულუკიანის უწყების დაფინანსება 177 მლნ ლარიდან 184 მლნ 895 ათას ლარამდე მოიმატებს, საიდანაც 2 მლნ 100 ათასი ლარი კრედიტია.

ამასთან, დაფინანსება ეზრდება რამდენიმე უწყებას, მათ შორის საგარეო საქმეთა სამინისტროს: 120 მლნ 950 ათასი ლარიდან — 127 მლნ ლარამდე: შინაგან საქმეთა სამინისტროს: 570 მლნ 220 ათასი ლარიდან — 643 მლნ 500 ათას ლარამდე; გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს: 274 მლნ 765 ათასი ლარიდან — 298 მლნ 100 ათას ლარამდე, საიდანაც 8 მლნ 955 ათასი გრანტია, ხოლო 17 მლნ 730 ათასი — კრედიტი.

მთავრობა დაფინანსების გაზრდას გეგმავს პრიორიტეტად დასახელებული სამი სამინისტროსთვის. კერძოდ, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაფინანსება 3 მლრდ 623 მლნ 570 ათასი ლარიდან 3 მლრდ 863 მლნ 070 ათას ლარამდე იზრდება; განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს — ერთი მლრდ 461 მლნ 270 ათასი ლარიდან — ერთი მლრდ 485 მლნ ლარამდე, საიდანაც 38 მლნ 900 ათასი ლარი გრანტია.

დაფინანსება ეზრდება მაია ცქიტიშვილის უწყებასაც. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსება 139,8 მლნ ლარით იზრდება და ერთი მლრდ 965 მლნ ლარს შეადგენს, საიდანაც 24 მლნ 450 ათასი ლარი გრანტია, ერთი მლრდ 62 მლნ 680 ათასი ლარი — კრედიტი. რაც შეეხება თავდაცვის სამინისტროს, ლევან იზორიას უწყების დაფინანსება 802 მლნ ლარიდან 790 მლნ ლარამდე მცირდება.

ბიუჯეტის პროექტში აღნიშნულია, რომ გასულ წელთან შედარებით, თავდაცვის სამინისტროს ასიგნებების შემცირება გამოწვეულია საფრანგეთთან გაფორმებული კონტრაქტის დასრულებით, თუმცა პარტნიორებთან კონსულტაციები გრძელდება და გადამუშავებულ ვარიანტში სამინისტროს ასიგნებების კორექტირება განხორციელდება.

მთავრობამ 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი პარლამენტს 2 ოქტომბერს წარუდგინა. რეგლამენტით დოკუმენტს დარგების მიხედვით საპარლამენტო კომიტეტები განიხილავენ, რის შემდეგაც გადასამუშავებლად მთავრობას დაუბრუნდება. საკანონმდებლო ორგანოს პროექტის დამტკიცება დეკემბრის მესამე პარასკევამდე, საშემოდგომო სესიის დახურვამდე მოუწევს.

ᲧᲣᲠᲫᲔᲜᲘ ᲣᲡᲣᲤᲡᲘᲓᲘᲝᲓ — ᲔᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲙᲐᲠᲒᲘᲐ!

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ მმართველობის პირობებში სახელმწიფო დახმარების გარეშე ეს პირველი რთველია. შარშან სუბსიდირება ნაწილობრივ იყო შენარჩუნებული კახეთში საბრენდე ჯიშის და რაჭაში სახვანჭკარე ყურძენზე, წელს კი ამისთვის ბიუჯეტში თანხა საერთოდ არ იყო გათვალისწინებული.

რთველი დასასრულს უახლოვდება კახეთის რეგიონში, სადაც გადამუშავებულია 200 ათასზე მეტი ტონა ყურძენი. კახეთსა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონებში მევენახეების შემოსავალმა დაახლოებით 300 მლნ ლარს მიაღწია.

საინტერესოა, **როგორ მიმდინარეობს რთველი 2018 სუბსიდირების გარეშე? ღვინის მწარმოებელი კომპანია „ღვარძელაშვილის მარანის“ დამფუძნებელი ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲦᲕᲐᲠᲫᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** აცხადებს, რომ სუბსიდიის გარეშე რთველმა წელს ყოველგვარი ხარვეზების გარეშე ჩაიარა. ფერმერი განმარტავს, რომ სახელმწიფო რთველის სუბსიდირებიდან აქამდე რომ გასულიყო, დღესდღეობით ღვინის სექტორი ბევრად განვითარებული იქნებოდა. **„დამოკიდებულები ვიყავით იმაზე, თუ სახელმწიფო ლუკმას როდის და როგორ გადმოგიგდებდა. მე პირადად, წინააღმდეგი ვიყავი სუბსიდიის, მიმაჩნდა, რომ ბაზარი ფასსაც და ხარისხსაც დაარეგულირებდა. ასეც მოხდა. ჩემს გარშემო ვინც ყურძენი გაყიდა, ან ჩააბარა, ყველა კმაყოფილია. ბაზარმა დაარეგულირა ფასი,“** — აცხადებს ღვარძელაშვილი. მისივე თქმით, წელს კახეთში 1 კგ საფერავის ჯიშის ყურძენი 2.5 ლარი ღირდა, რქაწითელის ფასი კი 70-80 თეთრს შეადგენდა.

შპს „ბერიკას“ ხელმძღვანელი ᲚᲐᲨᲐ ᲠᲔᲕᲐᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘ აცხადებს, რომ წლევანდელმა რთველმა აჩვენა, რომ ღვინის სექტორს შესწევს უნარი სახელმწიფოს გარეშე ჩაატაროს რთველი და თან, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ხარვეზების გარეშე.

ღვინის კომპანია „თელავის მარნის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ᲖᲣᲠᲐᲑ ᲠᲐᲛᲐᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ აცხადებს, რომ სუბსიდირების გარეშე რთველი იმაზე უკეთესად ჩატარდა ვიდრე ეგონათ.

„თავიდანვე ისე უნდა ყოფილიყო, რომ პროცესი სახელმწიფოს გარეშე უნდა წარმართულიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნებოდა სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესში ჩარევა. როგორც ირკვევა ამ მოცემულობით, რთველი წარმატებით ჩატარდა“, — აცხადებს რამაზაშვილი.

ᲡᲝᲤᲝ ᲥᲡᲝᲕᲠᲔᲚᲘ

ვულოცავთ!

მშენებლობის ბერმუხა იუბილარია

საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, ქართველ მშენებელთა უფროსი თაობის წარმომადგენელი, ბატონი ადიკო გვალია დღეს იუბილარია, მას 90 წელი შეუსრულდა.

გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან ნახევარ საუკუნეზე მეტი ემსახურა იგი მშენებლის მეტად რთულ და საპასუხისმგებლო საქმეს. ბატონ ადიკოს, სადაც კი უღვაწია – ზუგდიდის სამშენებლო-სარემონტო სამსახურში, სოხუმისა და ზუგდიდის საქალაქო საბჭოს კომუნალურ სამმართველოში, ენგურჰესის გრანდიოზულ მშენებლობაზე (ენგურჰესის მთავარი სამმართველოს სახარჯთაღრიცხვო განყოფილების უფროსი, სამთო და საბინაო სამმართველოს მთავარი ინჟინრიდან სამმართველოს უფროსამდე), ყოველთვის გამოირჩეოდა პროფესიონალიზმით, პრინციპულობით, საქმისადმი ერთგულებით, მრავალათასიან კოლექტივში სარგებლობდა სიყვარულითა და პატივისცემით.

ბატონმა ადიკომ და მისმა მეუღლემ, ქალბატონმა ზაირამ სამშობლოს ორი შვილი აღუზარდეს, ახლა ოთხი შვილიშვილისა და პატარა შვილთაშვილის ბედნიერებით ხარობენ.

ენგურჰესის მშენებლები და უახლოესი მეგობრები სულითა და გულით ულოცავენ საინჟინრო საქმის ბერმუხას საიუბილეო თარიღს, სიმხნევეს, ჯანმრთელობასა და ოჯახში გამრავლებას უსურვებენ.

კოლექტივის სახელით: **ბაკურ გულუა, გურამ გუნავა, ანზორ ჭითანავა, ოთარ ჭითანავა, ნოდარ შარტავა, იური გუგუჩია, დოდო რუხაძე, მერაბ დავითაია, მურმან ჩაკაბერია, დოდიკ ძუჩულორია, კარლო შანავა, გოგი კვარაცხელია, ალბერტ სიორიძე, სოსო კეიდია.**

საქართველო პარიზის ტურისტულ გამოფენაზე

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ საფრანგეთში, საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე TOP RESA IFTM 2018 მიიღო მონაწილეობა.

გამოფენის ფარგლებში მოეწყო B2B შეხვედრები. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი ჩოგოვაძე საფრანგეთის ტურისტული, მარკეტინგული კომპანიების და მედიასაშუალებების წარმომადგენლებს შეხვდა, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ფრანგულ ონლაინმედია პორტალებზე, ტელევიზიებსა და ბეჭდურ მედიაში გეგმავს სარეკლამო რგოლების განთავსებას, ასევე ფრანგი ჟურნალისტებისთვის საქართველოში მედიატურების მოწყობას.

ნოლებით „დამძიმებული“ ბანკნოტები

თუ როგორია ფულის გაუფასურების შედეგები, თითოეულმა ჩვენგანმა, სამწუხაროდ, კარგად იცის. მაგრამ ბევრისთვის, ალბათ, ნაკლებადაა ცნობილი, რომ დევალვაციის უმართავი პროცესის გამო ზოგიერთი ქვეყნის ეროვნულ ბანკნოტებზე უამრავი ნული ჩნდება ხოლმე.

ცოტა ხნის წინათ ვენესუელაში 100 ათასი ბოლივარიის ნომინალის კუპიურა გამოუშვეს, რაც, ცხადია, ეროვნულ ეკონომიკაში არსებული პრობლემების უტყუარი ნიშანია. იქაური ფული გამუდმებით უფასურდება, ამიტომ საჭირო ხდება სულ უფრო მსხვილი კუპიურების ბეჭდვა. დიდი ნომინაციის მხრივ მსოფლიო რეკორდსმენად დღემდე **უნგრეთში 1946 წელს გამოშვებული ერთი მილიარდი ტრილიონი პენგიოს კუპიურა რჩება.** იმ დროში უნგრეთში ფულის ნიშნების მსოფლიო ისტორიის მანძილზე ინფლაციის ყველაზე მაღალი დონე იყო. მეორე მსოფლიო ომის დროს **საბერძნეთში** 100 მილიონი დრაჰმის კუპიურები გამოუშვეს, მე-20 საუკუნის 20-იანი წლების **გერმანიაში** მიმოქცევაში 100 ტრილიონი მარკის ბანკნოტი იყო. 21-ე საუკუნის დასაწყისში ზიმბაბვეში კი ფინანსურ ოპერაციებში 100 ტრილიონი ადგილობრივი დოლარის ნომინალის ბანკნოტები ბრუნავდა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„თბილისობა 2018“ 6 და 7 ოქტომბერს გაიმართება!

ღონისძიებები დაგეგმილია დედაენის ბაღში, რიყის პარკში, პირველი რესპუბლიკის მოედანზე, ევროპის მოედანსა და ლეღვთახევში.

ორი დღის განმავლობაში რიყის პარკში გაიმართება გასტრონომიული და ყვავილების ფესტივალები – „შემოდგომის დღესასწაული“, წარმოდგენილი იქნება ცოცხალი მუსიკა, საბავშვო გასართობი პროგრამები და რარიტეტული ავტომანქანების გამოფენა. 7 ოქტომბერს, ასევე გაიმართება საცირკო წარმოდგენა „ჯამბაზები საზღვრების გარეშე“.

დედაენის ბაღი ამავე დღეებში 12:00-დან 18:00 საათამდე სპორტულ ღონისძიებებს უმასპინძლებს. წარმოდგენილი იქნება 10-ზე მეტი სპორტული სახეობა, მათ შორის, ჭიდაობის ტურნირი, რომლის გამარჯვებულსაც წელს პირველად გადაეცემა გარდამავალი თასი.

აბანოთუბანში, 6 და 7 ოქტომბერს, „თბილისობის“ დღესასწაულის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პროექტი „გვიდირიჟორე“ გაიმართება. სპეციალურად მოწყობილ სცენაზე განთავსებული ორკესტრი მსმენელს პოპულარულ მელოდიებს შესთავაზებს, ნებისმიერ მსურველს მიეცემა საშუალება, უშუალოდ ჩაერთოს ღონისძიებაში, სცენაზე ავიდეს და საკუთარი თავი დირიჟორის ამპლუაში გამოსცადოს.

ლეღვთახევში გაიმართება მხატვრების, ფოტოხელოვანებისა და სამხატვრო აკადემიის სტუდენტების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, ქართული ფილმის გმირების კოსტიუმირებული პერფორმანსი, პანტომიმის სახელმწიფო თეატრის შოუ – „ცოცხალი ქანდაკებები“, ცოცხალი მუსიკა – ლევან ცხადაძე და გერმანელი სტუმრები პროექტით – „მექი-დანა და მისი მეგობრები“ და გიორგი ალექსიძის სახელობის თბილისის თანამედროვე ბალეტის დასის წარმოდგენა – „მეტრონომი“.

6 ოქტომბერს, ევროპის მოედანზე, 20:00 საათზე შედგება მიუზიკლის – „თბილისური ვოდევილის“ პრემიერა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ქართველი ვარსკვლავები და სცენაზე მულტიკულტურულ თბილისს წარმოადგენენ.

7 ოქტომბერს, 14:00 საათზე, ბარათაშვილის ქუჩაზე კომპოზიტორ რევაზ ლაღიძის ბიუსტი გაიხსნება და „ქართული ხმების“ კონცერტი გაიმართება.

19:30-ზე პირველი რესპუბლიკის მოედანზე, თბილისის საპატიო მოქალაქეების დაჯილდოება და გრანდიოზული გალა-კონცერტი გაიმართება, რომელიც რევაზ ლაღიძის შემოქმედებას მიეძღვნება. კონცერტს მუსიკალურად გააფორმებს ევგენი მიქელაძის სახელობის საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრი ნიკოლოზ რაჭველის ხელმძღვანელობით, ხოლო სცენაზე წარდგება ყველა ის მომღერალი, რომელიც გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის სიმღერებს ასრულებს.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.6159; ევრო - 3.0240;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3983;
100 რუბლი - 3.9742; თურქული ლირა - 0.4307;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5433;
1000 სომხური დრამი - 5.4048.

ამინდი 5 ოქტომბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +12,	დღე +22
მთიანი რაიონები -	ღამე +6,	დღე +16
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +13,	დღე +20
მთიანი რაიონები -	ღამე +8,	დღე +15
თბილისი:	ღამე +16,	დღე +21

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:

ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge